


# DRUGS



# „პიონერი“

№ 10

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და  
საქ. განსახტომის ერთობის  
ური უზრუნველი

ოქტომბერი  
1935

გვლიძაღი 89-11

დადაწყის მისამართი:

პიონერის მ., № 7.

ს ა ხ ი ლ გ ა ვ ი,

საქ. ლ. კ. კ. ცეკასა და

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. ოქტომბერი (ლექსი) — გიორგი კაჭანიძისა . . . . .	1
2. ოქტომბერი (ლექსი) — არნო ანდონისა . . . . .	2
3. ვაჟა-ფშაველას (ლექსი) — გასო გორგაძისა . . . . .	3
4. გმირული მსხვერპლი (მოგონება) — ბაბა ლადონს . . . . .	4
5. ქვიშების პიონერთა ბანაკი (ლექსი) — გ. რუხაძისა . . . . .	7
6. პიონერი (ლექსი) — ვალია კუპრაძისა . . . . .	7
7. რახილ (მოთხ.) — დავით კასრაძესა . . . . .	8
8. სალამი (ლექსი) — მიმქრალისა . . . . .	10
9. კრენკებილის თივგადასავალი — ანატოლ ფრანსი . . . . .	11
10. სკოლა შეეფის მთაში (ლექსი) — იასამანისა . . . . .	14
11. ლევარის როსტოხაძე — ი. ხინველისა . . . . .	14
12. ინდოური და მამალი (ლექსი) — ილია ხინარულიძისა . . . . .	17

## ბავშვთა შემოქმედება

13. ცელქი გიგლა (ლექსი) — მიხეილ მიმონიშვილისა . . . . .	18
14. ინუნერები გავხვდებით (ლექსი) — გლ. სულაბერიძისა . . . . .	18
15. სამჭედლოში (ლექსი) — ირ. ჩხილევისა . . . . .	18
16. პიონერორგანიზაციების ამოცანები საპარტო თავდაცვის საქმეში — — ა. მდიგანისა . . . . .	22
17. გასართობი — შ. თაბუკაშვილისა . . . . .	23
18. ინდოეთის კაკალი და დათვი — გ. ლომითათიძისა . . . . . ამოცანა ასოებზე . . . . .	24
მხატვარი — ღონი	

## სარედაქციო ძოლები


პ/მგ. რედაქტორი: პ. რეზნიშვილი.

პ/მგ. მდიგარი: როდიონ ძორაშვილი

წევრები: ლ. გასეინი, ნ. ჩარგვიანი, გ. რუსიშვილი, შ. თაბუკაშვილი. შ. ახვლედიანი.

ხტილისტი: — შ. თაბუკაშვილი.

გამოშვები: ს. ხვისტია.



## ოქტომბერი



მორთეს ქუჩა, მოედანი,  
დიდებულად მორთეს ხილი;  
უნდა კარგად ვიზეიმოთ  
ოქტომბერი ეგზომ დიდი.  
ის წელს არის აღრინცელზე  
მეტი ხმის და ძალის მქონე...  
უყვარს წინსვლა, და ქუჩებში  
ავტობით გაგვაქროლებს.  
ბავშვი იყო, დავაუკაცდა,  
გმირი ვარო იმას ეთქმის:  
აქ, მიწაზე, მეფე მოსპო  
და ზეცაში ყველა ღმერთი.  
ლონე აქვსო — შტერიც ამბობს,  
მოეთე ხომ ყველგან აქებს.  
ალგორიც მუდამ, გულით გვიყვარს  
ჩვენ ოქტომბრის გზა და საქმე.  
მე არ ვიცი, რა ძალონე  
ექნებოდა ჩვენს თავს, მუხლებს,

ამ დიდ, გაშლილ ქვეყანაზე  
ოქტომბერი რომ არ ქუხდეს.  
ეს ხალისი, ეს სიმკვირცხლე,  
სხეულებში რომ გვაქვს ახლა,  
დედის ტებილი ალერსიგით  
ოქტომბერმა ჩაგვისახლა.  
ის დიდია, ქუხვი ყანით  
კოლექტივის მინდვრებს ამკობს.  
მიდის მთებში და ლოდებთან  
მუშის ენით ლაპარაკობს.  
ქალაქს მკერდზე აუმართა  
შენობათა წყება, რიგი...  
ბალის ლამაზ ყვავილებშიც  
მოძრაობს და ბრწყინვს იგი.  
მან არ იცის დაოლა, ძილი,  
ამოქმედებს ტვინს და მარჯვენს;  
რკინის ფრთხილით ზეცას სწვდება  
და ხრიოკში წყაროს აჩნის. გიორგი კაჭახიძე



მარტინ გადაბეკი

თვეებს შორის ისე მოჩანს,  
ქოველწლობით მოდის ისე —  
როგორც მზე და როგორც დროშა  
მოზეიმე, მოვიზგიზე.  
შემოდგომა თურმე წინათ  
სევდა იყო, ცრემლის წყარო,  
ლექსიც ბევრი დაწერილა  
სანალვლო და სამწუხარო.  
ახლა ვინდა გაიმეტოს  
გული — ცრემლი რომ დაღვაროს,  
როცა ხმები საიმედო  
სხივებს ესერის მთელ სამყაროს.  
ყველგან, სადაც გაიხედავ —  
წითლობს ზეცა, ქუჩა, სახლი,  
შემოდგომა ხალისს ჭედავს  
ტემპით, წინსვლით და სიახლით.

ელავს დილა. გული ნათლობს.  
კამ მოხიბლა თვალი, მზერა.  
ქარის ფერი უნათო  
გადალექა ლალის ფერმა.  
უზარმაშარ პლაკტიგით  
გაღმოეშვა ცეცხლი მზიდან,  
მთას ლიმილი გადაჭეიდა  
და ნისლის კოშკი წაეკიდა.  
ელავს დილა. შექი მოსავს  
ჩვენს სამშობლოს დიაღ მთა-ბარს,  
თითქოს ლაქვარდს უამბობსო  
გმირობის და ბრძოლის ამბავს.  
ოქტომბერი... ისე მოგიანს,  
ყოველწლობით შოდის ისე —  
როგორც მზე და როგორც დროშა  
მოზეიმე მოვიზგიზე... არც იცნელი

# 3 1 9 1 - ფ უ ა ვ ე ლ ა ს

(გარდაცვალებიდან 20 წლის შესრულების წევამო)




მხარში დაჭრილი არწივის,  
გაუა, გამთელდა წყლულები.  
აღარ შფოთავენ საფლავში  
გმირთა დახრული გულები,  
უფსკრულში გადაილეწენ  
ყვავნი, ყორანნი კრულები...  
გაძრებალან, გადაკარგულან  
სვავნი ფრთადაისრულები.  
მთიდან, ჩძის ქაფად დალვრილი,  
მოქრიან ნაკალულები,  
მწვანე ხალიჩით მორთულა  
ჭალები, ყანის ხნულები  
ზურმუტტის ფერად ელვარებს  
მიწის ბარაქა ულევი.

დღეიდან ძმურ ერებს შორის  
არ მოციქულობს მტრის ხმილი,  
თუმცა ნაირი ტომის ვართ —  
ერთი გვექვს გულის ფრიალი,  
„ჩვენს კავშირს გაუმარჯოსომ!“  
მღერის სხვადასხვა შხრის წყალი:  
სულაკი, მტკვარი, არაგვი  
და ორგი — კუნთებ ცინცხალი.  
ერთია ყველას განზრახვა,  
ერთი ლტოლვა და მიზანი:  
აყვავდეს თავის ქვეყნისა  
შხარე ბარის თუ მთისანი!

მთა ვნახე არშაულასი —  
ცა შხრებზე ებჯინებოდა,  
ვაუკაცთა გუნდი გარს ერტყა,  
ქცდს შებმას ეპირებოდა,  
პირზე დარტყმული წერაქვი  
ქლდეს შიგ მკერდამდის წვდებოდა,  
გულგაგლეჯილი გრანიტი  
ნაფოტებივით ტყდებოდა.  
ზეიადაურიც აქ იყო  
ჯოყოლას ეჯიბრებოდა.  
მზალოს, ლელას და კვირიას  
გმირული გარჯა შვენოდა,  
მათი სიმღერის გუგუნი  
შორს ხევში იფანტებოდა.

მთის გასწრივ, სადაც ბილიგზე  
კაცი კაცს ვერ შეუვლიდა,  
სადაც ჩანჩქერი შეუიღით  
გადმორბის მთების გულიდან —  
გზა გაუჭრიათ. ზედ აფტო  
სივრცეს მიაპობს გრიალით,  
ჩაბნელებული ხევები  
ხმას აყოლებენ ჰრიალით,  
რა სიხარულით დაგვყურებს  
მთათა მწვერვალი ტიალი.  
თვალს ხიბლავს, სმენას ატყვევებს  
არაგვის ტალღის ჩქრიალი.



რომახო, ვაუავ, ვერ იცნობ,  
გამოიცვალა მხარეა,  
თუ ძველად ქვეყნის ვარამშა  
გადინა ცრემლი ცხარეა —  
ახლა მზესავით ელვარებს  
სამშობლოს არემარეა  
და დაფნით ამქობს შენს სახელს  
მორთულს წკრიალა ქნარითა;  
მყინვარის ვერცხლის ჭალარით,  
ამღერებულის ბარითა!

ვასო ვორებელი



# 1

ოქტომბრის ძახილს მთელი შავი ზღვა გამოეხაურია. ლენინგრადის სამხედრო ფლოტზე წითელი დროშა აფრიალდა ლურჯ ჯვრიან დროშის ნაცვლად — „აგრორამ“ ლენინგრადში დამთავრა ოდესში „პოტიომკინის“ მიერ დაწყებული საქმე. შავი ზღვის მეზღვაურებს მხარი მისცეს მუშებმა და გლეხტებმა. აინთო რევოლუციის ხანარი. მაგრამ ლენინგრადს და სევასტოპოლს შუა დიდი მანძილია. აქა ც მაგრდებიან შინაური მტრები — ძველი მეფის და ბურუუზიულ მთავრობის მომხრები. ამათ შველიან გერმანელები. სამწუხაროდ ფლოტს მოძრაობა არ შეუძლია. გემებს მოძრაობისათვის დიდი სურსათი სჭირითა. ეს სურსათია სათბობი მასალა: ქვანახშირი და ნავთი. ეს კი ილარია, რადგანაც დონის მაღაროები დანგრეული იყო. „გროზნი“-ს ნავთის კოშები დაიწვა, ბაქო კი მენშევიკების ხელში იყო. რასაკვირველია, ვერც გროზნოდან ვერც ბაქოდან შავი ზღვის ფლოტი ერთ ფუთ ნავთსაც ვერ მიიღებდა. უნავთოდ და უნახშიროდ ფლოტი უძრავი იყო. ეს გაიგო მტრება — ამით ისარეგბლა გერმანიის ჯარის სარდლობამ და შეეცადა ესარგებლა ფლოტის უძლურობით და ხელში ჩაეგდოთ იყი. გერმანულმა ჯარმა ისმალეთის ფლოტის დახმარებით ალყა შემოარტყა სევასტოპოლში უძრავიდ მდგარ გემებს. სევასტოპოლი უნდა დაცემულიყო. ეს კარგად იცოდენ გმირ მეზღვაურებმა.

რამდენიმე გაგონი ნავთი განდიდა ამ უძრავ გემებს საშიშარ და შეუპოვარ ძალად, მაგრამ ეს რამდენიმე გაგონი ნავთი არ იყო. მეზღვაურებმა მენშევიკებთან მოსალაპარაკებლად დელეგაცია გაგზავნეს, მაგრამ მენშევიკებმა არც უარი თქვეს და არც ნავთი მისცეს. მტრერი კი ახლოვდება და ახლოვდება. მტრები ისე იყვნენ დარწმუნებული გამარჯვებაში, რომ გემების განაწილებაში კი დაიწყება, მაგრამ შე-

ცდენ. ისინი არ იცნობდენ წითელ გმირებს. მეზღვაურებს კიდევ პქონდათ იმდი, რომ მენშევიკები დახმარებას გაუშევდნენ რუსეთის ფლოტს და ნავთის მიყიდვით გადაარჩენდნენ ფლოტს მტრისაგან, მაგრამ ნავთი არ მოვიდა. მაშინ მეზღვაურებმა ერთ ბერე ლამეს მოაგროვეს ყველა საბარგო და სამოგზაურო გემი, რომლებზედაც კიდევ მოიძებნებოდა ქვანახშირი, ბატრებით გამოატეს მათ ყველა სამხედრო გემი და გავიდნენ ზღვაში. დაბნეულმა მტრებმა ვერც გაუბედა თავის პატარა ნაღმისნებით გზის გადაღობვა. წითელი ფლოტი გაემგზავრა ჯერ ქერჩში, და მერე ნოვოროსიისკში, სევასტოპოლში დარჩა მხოლოდ პატარა უმნიშვნელო სანაპირო გემები და ისინიც ჩაძირული: მეზღვაურებმა წასვლის წინ ააფეთქეს ეს გემები და დაძირეს. ეს ერგო მოორე დღეს ცხვირაწეულ მტრეს გასააწილებლად.

ზღვაში ბატრით გაყვანილ ფლოტში იყვნენ: დრედნოუტი „თავისუფალი რუსეთი“ კრეისერები და ნაღმისნები. დიდი წვალებით წაიყვანეს ნოვოროსიისკში ეს ფლოტი. დადგა საკითხი „მერე?“ — „რა მოგველის?“ მტრის შემოტევას ვერ გაუმაგრდებოდა ნოვოროსიისკიც, თუ ნავთი და ნაბშირი ვერ იშოვნეს ეს ამაყი გემები ფეხმოჭრილ მეომარს დაედარება — რათ უნდა მეომარს თოფ-იარალი, როდესაც თვითონ უმოძრაოა? მართალია გმირს შეუძლიან გმირულად მოკედეს, მაგრამ ეს საკითხს არა სჭრის, მტრეს ვერც გააქცევს, ვერც გააჩერებს.

ფლოტის ხელმძღვანელმა შვიდეულმა ყოველი ძალონე იხმარა რაიმე სათბობი მასალა ეშოვნა, მაგრამ არც ნაბშირი, არც შეშა არსად მოიძებნებოდა, მხოლოდ ცოტა ნავთი მოაგროვა მთელ ნოვოროსიისკში. ეს ნავთი გაუნაწილეს ორ ნაღმოსანს — „კერჩი“ და „ვილიაკრიას“, რომელნიც სა-

დარაჯის სამსახურს ასრულებდნენ ფლოტისათვის. ამასპობაში მტრი ნოვოროსისკეს მოუახლოვდა.

რა ექნა შვილეულს? რა უყის ფლოტს? შვილეულმა ვერ გაძედა თავის თავზე აეღო საკითხის გადაჭრა — ეს იყო პოლიტიკური საკითხი. ვერც ერთი მეთაური ვერ იყისრებდა აეღო თავის თავზე პასუხისმგება სახალხო ქონების მტრისათვის გადაცემისა ან მოსპობისა. ეს საკითხი თვით იმ მუშადა მეომრებს უნდა გადაეწყვიტა, ვისთვისაც ვემი წარმოადგენდა სახლსაც, ქარხანასაც, სამუშაოდა საომარ იარაღსაც.

აფრიკალდა ლროშები „თავისუფალის“ დირექტორი — ყველა გემებზე კითხულობდნ: „12 საათზე ყველანი გამოდით ნაპირზე გადამჭრელ მიტინგზე, არ დააკლდეს არც ერთი კომანდირი, არც ერთი მეზოვაური“.

## 2

მიტინგი... ათი ათასი მეზოვაური ძლიერს ეტევა მოედანზე: მოქალაქეებიც მოზვავდნენ. ყველას უნდა გაიგოს რით გათავდება დღევანდელი დღე. ყველა გრძნობს მომენტის სიღიადეს. არც ყვირილი, არც მეზოვაურისათვის ჩევული ლანძლვა-გინება არ ისმის.

გამოვიდა შვიდეული. მოედანი გაინაბა. გესმით ათასების გულისძვრა. თვალები ტრიბუნაზეა მიჰედილი, ყუმბარა რო გასკდეს არც ერთი თვალი არ დაიხამხამებს.

წამოიწია შვიდეულის წევრი კრემლიანსკი.

— ამხანაგებო, ჩვენ დრო არ გვაქვს გძელ მუსაიფებისათვის — მოკლედ მოგაგონებით რაც ყველამ შევი კარგად იცით. ჩვენ იმდედი გვეკონდა, რომ გემებისათვის ნავთს და ქვანახშირს ვიშვინიდით. თქვენ თვითონ იცით რა ტანკით და წევალებით მოვიყვანეთ ჩვენი ფლოტი აქამდის. ნოვოროსისკი უკანასკნელი იმედი იყო ჩვენი — და უკანასკნელი ბოლშევიკური ნავსადგური. ვერც ნავთს, ვერც ნახშირს ვერ ვიშვინით — ეს ნიშნავს, რომ ჩვენი გემები უძრავად რჩებიან, და არამც თუ გვშველიან, პირიქით ჩვენც გვბორკავენ. მტრი არ დღეში შემოვა ნოვოროსისში. უძრავი გემებით ჩვენ ვერავითარ წინააღმდეგობას გაუწევთ და იძულებული ვიქენებით მტერს დაგნებდეთ. მე მგონია თქვენ ახან არა გჭიროათ, თუ როს ვერამენ თუ აქ მოგვამწყდიეს — ეს იქნება სულელური უზაყოფო თვითმკლელობა... ამ მდგომარეობიდან არის ორი გამოსავალი.

ჩვენ შეგვიძლია მოელი ჩვენი გემები აქვდან გავიყვანოთ და მენშეეიკურ, ნავსადგურში შევაფაროთ — რამდენად იქნება ჩვენი გემები დაცული იქ მტრის ხელიდან ეს საეჭვოა. გემები შეიძლება გადავარჩინოთ, მაგრამ რომ ისინი ბოლო დროს ისევ მტერს ჩაუგრძება ხელში, ამას ეჭვი არა აქვს. ჩვენ კი თუ ცოცხალნი დავრჩით — იარაღს აგვირიან და რასაკეირგელია სადმე იმისთვის ადგილის გა-

დაგვგზავნიან, რომ ვერავითარ დახმარებას ვერ გაუწევთ ჩრდილოეთში მებრძოლ ამხანაგებს.

— „არასოდეს“ — მხოლოდ ერთი სიტყვა გააგდო ერთხმად მოედანმა.

ტრიბუნაზე ერთს წუთს სიჩუმეა. თითქმის ელოდებიან დამატებას ამ ერთ გადმოსროლილ სიტყვას, მაგრამ მოედანმა სოქვა და გადასჭრა — ამას დამატება არ სჭირდება.

„მაშ გადასწუდა. არსად არ მიგყავს გემები. გადავდიგარ მეორე გამოსავალზე.“ განაგრძო ქრემლიანსკიმ. — ძნელია იმ სიტყვის თქმა, რომელიც ენიდან არ გაღმოდის. მაგრამ გმირულ ბრძოლას ხშირად გმირული მსხვერპლი სჭირდება...

| ამხანაგებო, თქვენ თვითონ ხედავთ, რომ დღეს ეს გემები გვპორეკავს. ბრძოლაში გაწვრთნილი 10.000 მეზღვაური დიდი ძალა რევოლუციისათვის. ჩვენ კი უცოქმედოთ ვდგევართ. გემებს ვერ გადავარჩენთ... არც ის გვინდა ამ გემებით რევოლუციის მტრები გავაძლიეროთ... ერთი გამოსაგალი-ლა გვაქვს. ჩავძიროთ აქ გემები, ჩვენ კი დავესხათ კონტრევოლუციონერებს... მე გარწმუნებთ, რომ გამარჯვება ჩვენი იქნება. დავუბრუნდებით და ჩაძირულ გემებს ჩვენივე ხელით ამოვილებთ — დღეს კი გმირულ მსხვერპლს თხოულობს ჩვენგან რევოლუციას“.

დადგა სიჩუმე — მკვდარი გულსაქლავი სიჩუმე, ხალხი გაქვავებული დგას. ვინ იცის რა ფიქრები ბჟუჟავს აქ მდგომ ხალხის ტვინში... ამას ვერავინ წაიკითხავს. თავები დახრილი აქვთ, თითქოს მძიმელოდი დააწვა მოელ აქ მდგომთ. არა მგონია ქვეყნად მეორე ამისთვის მიტინგი ყოფილიყო... უბრძო მიტინგი... სიტყვა არც ითქვა და არც ითქმოდა. საუკუნოები გავიდა ამ სიჩუმეში. ბოლოს ნიავიებით ჩურჩულმა ჩუარა მოედანს:

„თუ საჭიროა უნდა მოხდეს“.

მხოლოდ ერთხმოვანი გმინვა მოისმა ამ სიტყვების დასადასტურებლად... ისევ ხანგრძლივი სიჩუმე.

„მაშ გადაწყდა“. — ჩუმი ხეით თქვა თავმჯდომარებ — ამხანაგებო, მეტი საკითხები არ არის — მიტინგს დახურულად ვაცხადებ... წადით და შეუდექით მძიმე მოვალეობის შესრულებას“.

უხმოდ, უსიტყვალდ დაიმშალა ხალხი. არც მუსიკა, არც სიმღერა. თავი ჩაკიდული, ტუჩები შეკუმშული, წარბები შეკრული, თვალები ცრემლით საფსე, ყველა ეს არ უქადაღდა სიკეთეს იმათ, ვინც ეს აუტანელი ტანკევა გამოაცდევინა მეზღვაურებს.

შისცეს ნიშანი ..

ნაღმოსნებს „ქერჩის“ და „კილიაკრიას“ გაყავთ დრედნოუტი „თავისუფალი რუსეთი“ ღრმა წყალზე — დანარჩენ გემებს მწკრივათ აყენებენ ნავსადგურის შესავლიდან დოობის შეუქრამდე. ყველა დანიშნულ ალაგას არის. „თავისუფალი“ გასულია ას შეტრის სიღრმეზე. ყველა გემები დროშები ფრიალებს..., ნაპირზე ხალხის ტევა არ არის აქა იქ ისმის ქვითინი...

ზოჯერ გაისმის ვილაცის ისტერიული კივილი და მაშინვე ჩაქრება. ნაპირზე დარჩენილი მეზღვაურების დალვრემილი სახე გაქვავებულია... ბევრი ცდილობს ბავშვით არ ატირდეს. კბილები შექრული აქვთ, ლოუები უცანცალებენ და თვალები ელვას აფრქვევინ.

დადგა ისტორიული წუთი... ავარდა შუშება და გადმოყარა ნაპირწკლები. ყველა გემები გამწკრიებულმა მეზღვაურებმა უკანასკნელი სალამი მისცეს აურიალებულ წითელ დროშებს... გაისმა ინტერნაციონალის ხმა და დროშები ნელა, ძალიან ნელა და შვა გემების ანძებიდან... „კილიაკრია“ და „კერჩმა“ გაიმოსხეს მეზღვაურები ნაპირზე. მეზღვაურებმა მარტო იარალი და ვაზნები გამოიტანეს გემებიდან. გემებზე დარჩენ მარტო მორიგი ამსრულებლები.

„კილიაკრიამ“ უკანასკნელი ხალხი გადმოიყვანა. „თავისუფლებიდან“ იმავ წუთს მუისმა სამგლოვიარო (თქვენ მსხვერპლად დაეცით) ხმა. „კერჩი“ წყნარად შემობრუნდა ცხვირით დრედნოუტისაკენ. ნაპირზე მდგომნი გაინაბენ. „კერჩი“ გემის შეა აღიღის უსწორებს ნაღმს, ერთი წამით ნაპირში და ზღვამ შესწყვიტს სუნთქვა...

ნაღმი კლაენით გაესწრაფა გემისაკენ. წუთი და გემის ცხვირთან უშველებელი წყლის ზვავი აღდა, და შძლავრმა გრიალმა გაარღვია სიჩემე. გემი შეკრითა, წყნარა და შვა ცხვირით და შექრიდა. შორიდან იგი უშველებელ, მუხლებზე დამოქილ დაკოდილ ლომს ჰყავდა. დაჭრილი, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი გემი წყალშევით დარჩა. ერთი ნაღმი ვერ მოერთა. ნაპირზე მწვავე კვნესა გაისმა და მხოლოდ თოფებზე ჩაქრილი ხელები ამტკიცებდა რას განიცდიდნენ მეზღვაურები.

„კერჩი“ შემობრუნდა და მეორე ნაღმი ესროლა ოდესაც თავის მბრძანებელ დრედნოუტს. ეს ნაღმი გვერდში მოხვდა დრედნოუტს. უშველებელი ზღვის კინე შეირჩა. გვერდზე დაწვა, მერე წამოიწია, თითქოს აღიმამ უნდაო. ისევ გვერდზე დაწვა და ჩა- წვა წყალში. იმავ წამს ყველა გემიდან მოისმა აფე-

თქების ხმა და ერთი საათის განმავლობაში ამ აუ- არებელ გემების ადგილას მხოლოდ სასაფლაოს ძე- გლებივით მოჩანდა დალუპულ გემების ანძები.

ნაპირზე ყველა სტიროლი. ალარც მეზღვაურები მალივდნენ თავის ცრემლებს. საშინელი სანახობა იყო ეს წვერ-ულვაშ გაუპარსავი, მზისვან და მოაშე წყლისაგან დამწვარი სახეები. მრავალ საშაშრო- ებაში გამოვლილი შეუსრუებელი მეზღვაურები და- უმაღავი ღვრილენ ცრემლებს.


უკანასკნელი მიტრნგი გაიხსნა... აქვე ზღვის პირად... მხოლოდ ერთი ამხანაგი გამოდის, — რევოლუციური ტრიბუნის თავმჯდომარე ამხ. გასოვი. ამხანაგებო, ჩენ ვტირით. სირცხვილი არ არის ჩვენთვის ეს ცრემ- ლები... ეს ჩენი უკანასკნელი ცრემლებია... ვა იმთ ვინც ეს ცრემლები გვატრემევინა. ვფიცავთ ეს ცრემ- ლები სისხლის ნიაღვარათ ვაკეციოთ“. „ვფიცავთ“ — იგრიალა ათი ათასის ხმამ. — „მაშ მოვიწმინდოთ ცრემლები, დევ, ეს უკანასკნელი ცრემლები იყოს. ამას იქთ ცრემლის ნაცვლად მტრის სისხლი ვლვაროთ. შევფიცოთ, რომ ნოვორისისე ჩენი გემების დროე- ბითი სასაფლაოა. არ მოვასვენოთ და არ დაგინდოთ მტრი. სანამ გამარჯვებული არ დაებრუნდებით და ჩენს საყვარელ გემებს ისევ არ ავამორიავებთ წითელი დროშის ქვეშ“. „ვფიცავთ“. — გაისმა მხოლოდ ერთი სიტყვა. მაშ, ახლა მტრისაკენ“ და მეზღვაურები და- სტა-დასტა წავიდნენ.

სად წავიდნენ, მე მიზნად არა მაქვს ავტორო ის გმირული ომი შევი ზღვის მეზღვაურებმა რომ გა- დაიხადეს ქონტრევოლუციასთან ბრძოლაში. ეს მრა- ვალჯერ აშერილი თქვენც გვექნებათ წაკითხული. მხოლოდ ვიტყვი, რომ მეზღვაურებმა თავისი ფიცი შეასრულეს. მტრებს ძვირათ დაუჯდა მეზღვაურების ცრემლები. მართალია, ბევრი მეზღვაური გმირულად დაეცა ბრძოლაში, მაგრამ ფიცი მაინც შესრულდა. ოქტომბრის რევოლუციამ გამარჯვე და დღეს ნოვო- რისისე სასაფლაოდან ამოღებული და გაცოცხლე- ბული გემები წითელი დროშის ქვეშ დაუცურავენ და დარაჯობენ ზვავი ზღვის საზღვრებს.

პაპა ლადო



# პიმხეთის პიონერთა ბანკი



ლაპაზია ტაშისკარი  
მწვანე მოებით, ველებით,  
გიურ მტკვარი შუა რომ ჭრის  
ქაფმოდებულ ჩქერებით.

დღეს აქ კოხტად გადაშლილა  
პიონერთა ბანკი  
და საცხეა ხალისით და  
აღტაცების ბარაჯით.

დახტიან და თამაშობენ  
ცქრიალით ვით ფერია,  
ჩვენს დიდ სტალინს ადიდებენ  
და გულლიად მღერიან.

3. რუსები

## პიონერი

მორბის, მოხტის პიონერი  
თან რაღაცას ტკბილად მღერის,  
ეს სიმღერა სიცილია  
მეთვრამეტე ოქტომბერის.

ტუჩე ღიმი დაუქარგავს  
სიცოცხლისთვის საღად ნაშენს,  
მხე უკოცნის მარჯნის ბაგეს,  
სიო თმაზე დასთამაშებს...

მედიდურად მოაქვთ დროშა  
ხელებს ნორჩის და ხელებს ნაშებს,  
მზე უკოცნის მარჯნის ბაგეს,  
სიო კულულს ულამაზებს.

მორბის, მოხტის პიონერი,  
თან რაღაცას ტკბილად მღერის,  
ეს სიმღერა სიცილია  
მეთვრამეტე ოქტომბერის.

ვალია ძალასახადი

# ԹԱՅԵԼԻ

განა ვინ ყოფილა ისეთი, რომ ნადირობა არ  
ჰყავარებოდა? მეც პატარაობიდანვე შემიყვარდა. მა-  
ნამ ასევე დილადდრიან რომ წამომდგარებარ საღამომ-  
დე გამძნელებია შინ დაბრუნება, ხშირად ისე შე-  
მომღამებია, რომ არც საჭმელი და არც სასმელი  
გამხსნებია. მთელი ლიახვის ხეობა აკლებული მქონ-  
და. სულ ფეხქვეშ მქონდა მოდებული მისი ჭალე-  
ბი, ყანებით დაფენილი მინდგრები, გორაკები, მთე-  
ბი, დაბურვილი ტყე... ბევრჯერ დაუტქესიგარ მშო-  
ბლებს, მეც შემიტიცნია, აღარ გინალირებ მეთქი,  
მაგრამ მეორე დღეს კველაფერი მავიწყდებოდა და  
უთენიებლივ კვლავ სანალიროთ გავპარულებარ.

თქვენი არ ვიცი, მაგრამ იმ დროს ბუნება ჩემი  
თვის ყველაფერი იყო. მიუვარდა ტყის შრიალი, ბუ-  
ჩქარის სიკელუცე, ჩრდილებში წამოწოლა, ნიავის  
ალერსი... იქით გარეული მარწყვის ლამაზი თვალე-  
ბის შუშუნი, ხან წყაროს გვერდით ჩამოჯდომა, ნა-  
პრალებთან კისკისით რომ მოჩეუს, ზენ კი მიუჩო-  
ქდები, გასურებული ტუჩებით მიეწოდები, ისც და-  
გვონის და მარგალიტს მოგაფრქვეს თავზე. ან,  
აი, მორებში ჩაიყურულებები, დააფრთხობ თევზ-  
თა ქარიანს, შემდეგ მოუსვამ მელავებს, ატიგტივ-  
დები, მიცემი ბეჭიერ თვალემას და სტკები, რომ  
ტალღები ხან ნანინას გეუბნებიან, ხან კი ალერსი-  
ანი ცელქობით ხუკუჭხე მუჟამუქა შეხევებს გასხა-  
მებ... ან, აი, მთელი დღე შემომალამდა, ზიხარ  
განმარტოებით მუხის ქვეშ და უმხერ, როგორ იძი-  
რება მზე ძოწეულმოსილ ღრუბლებში, როგორ მი-  
აცურებს ცეცხლნარ ნავს სადღაც გარდამა შხარეს,  
როგორ მოედება ხანდარი აჩემარეს, მთებს, იმ შენს  
მუხას, რომლის ქვეშ ზიხარ, იმ ტყეს, რომელსაც  
უმზერ, იმ ველს, რომელიც შენ წინ გაჭიმულა და  
იმ სოფელსაც, რომელიც ახერთი ხანია თიქ გას-  
სენებს და შინ დასაბრუნებლად ხელს გიქნებს. ახ-  
ლა მოვარე? ახლა ფრინველების გალობა? ახ, ძე-  
ლია ბუნების ჯალოსნობიდან განთავისუფლება, თუ  
კი ერთხელ ხელში მოვიგდოთ. მაშინ თქვენ გავი-  
წყდებათ ყველაფერი, უნებურად ინთენდით ალერ-  
სიდან ბურნაში და ასე გვინიათ, ეს ქვეყნისერება შხო-  
ლოდ ბედნიერებისა და ტკბილი სიშმების თასი იყოს.  
მდიდარი ხართ გულით, მდიდარი ხართ შეგრძნე-  
ბით, უძირო სივრცე ჭრინობთ თავს, სადაც მთე-  
ლი სამყარო ისე იყარება, როგორც მოწყვეტილი  
ვარდის ფურცელი ოკეანის გადაშლილ გულში. ॥

ბავშვობის სიხალისე შემდეგშიც გამომწყვა. უკვე  
დავვაუკაცდი და ქვეყნიერებას კვლავ ჭაბუკი მონა-  
დირის თვალით ვუმზერდი. იმ ხანებში მე არ ვი-  
ცოდი სილარიძე და სიმახინჯე. შეძლება კარგი  
მქონლე ღასარებლობდი გაზაფხულის და ზაფხუ-  
ლის იშვიათი ღლებით და მთელ დროს ნადირო-  
ბაში ვატარებდი, ვიღრე პატარა, მაგრამ დამაფი-  
ქრებელი ამბავი არ გადამხდა.

ეს იყო ივლისის შუარიცხვებში. დღე უიღბლოდ  
შემომაღმდა, ასე რომ წყვილი ქედნის მეტი არ  
მომიკლავს. დაღლილი მოვდიოდი, მიუხედავად ამი-  
სა მაინც ბედნიერად ვგრძნობდი თავს და ისე მე-  
გონა, თითქოს ჩემთან ერთად ბედნიერი იყო აგერ  
ეს ზღუდრის გვერდა, რომლიდანაც მე ვეშვებოდი  
დაბა ცხინვალში შესასვლელად, აგერ ის მთაც,  
ის ნაცნობი კაჯალიც, რომლის ტოტებშიც ეშმაკ  
ციყვს დაედო ბუდე, თვით ადამიანებიც თითქოს გა-  
ნუწყვეტლივ ლრეობის ფერხულში ებნენ და მსოფლიო  
დარღისა არა გაეგებოდათ რა.

დაბაში შესვლისას კუჭმა დოლს შემოკრა და  
და შიმშილი მაგრძნობინა.

ერთს სასაუზმე დუქანში გავუხვივ და სახელდა-  
ხელორ ირბო - კვირკვები და რძიანი ყავა დაფუკვით.

ფინჯანი ნახევრადაც არ მომესვა, რომ პატარა  
გოგო შემოვიდა და უხმოდ ჩემი მაგიდის შორიახ-  
ლოს აღტუზა. მისი ჩაცვინული თვალები ისე ბეჯი-  
თად მომატერდა, რომ აშკარად ვიგრძენი, ბავშვი  
მშიერი იყო.

მელუქნე წამოიზიდა და დაუტია:

— გეორგია, რამდენჯერ უნდა გაგაგდო შე უჩიის  
ოლაპო.

ბაგშეს შეათროთოლა, კარებისაკენ დაიხია, მაგრავ თვალები ქვლავ უხმი მეტყველებით არ მოუშორებია ჩემთვის. სალოკი თათი პირში ჩაიჩრა და მომზღვრული ნერწყვით ტუჩჩე ყინულის წვნიანილოლებიდათ ჩამოვკინწიათ

մուտքներ քառակ մողթընթօն:

— გაეთრიყო მეტქი, მანდ რას გაჩერდი?  
უნდოდა ხელი ეკრა პატარასთვის, მაგრამ უმაღ-  
ვი შევაჩერებ:

— მოიკავ, არ გააგროვოთ... მაგასა ჰშიან...

შემდეგ პატიონას მოვუბრუნდი და მივესაყვარლე:  
— მოლი, პატიარა, ქამე...  
  
—

Digitized by srujanika@gmail.com

ჰატარა უცბად მოიჭრა და თვალის დახამხამებაზე გადაყლაპა ჩემგან მითავაზებული ერბოკვერც-ხის ლუქმა.

გადასანსელის შემდეგ იგი ისევ გაჩერდა და უფრო მეტი სიშეგით დამიწყო მზერა. მეც იღარ დავაყოვნე და მედუქნეს ორმაგი კერძი დაგუპვეთ, თანაც კარებთან მდგარ ბავშვს მივუბრუნდი:

— მანდ რას უდგეხარ, ჰატარა... ნუ გეშინია... მოღი, აქ დაჯერი...

ჰატარამ უნდობლად გაახედა მედუქნეს, შემ-დეგ ფრთხილად მოიპარა ჩემთან და ვიდრე ხელი არ დაწიო, დაჯდომას ვერ მედავდა.

რა გვიან ჰატარა ...

— რახილა...

— მშობლები გყავს?

— მყავს...

— და-ძმები?

— შვიდი და და ხუთი ძმა...

— დიდი ოჯახი ჰქონია მამაშენს...

ბავშვმა არათერი მიპასუხა. მისი ყურადღება სულ მედუქნისკენ იყო მიქცეული, როცა გამოსული დამინახა წამოიწია და კარებს მიაშურა.

— მოიკა; ჰატარა, სად მირბიხარ?

— ის გამაგდებს.

— ნუ გეშინია, როცა ჩემთან ხარ ვერავინ ვერ გაგაგდებს.

ჰატარა ისევ დაჯდა.

ამასობაში ერბოკვერცხი ხელმეორედ შემოიტანეს. მთლიანად ბავშვს მივუდგი.



ბავშვმა ეს კერძიც მთლიანად გადასანსლა.

მედუქნეს, გაუსწორდი და წამოვიწიო.

ჰატარაც ადგა, მაგრამ შევატყე, ჩამოშორება არ უნდოდა.

— კიდევ გშია? — შევეკითხე.

— არა, მაგრამ... მიხაილაც მშიერია...

— ვინ მიხაილა?

— ჩემი ჰატარა ძმა... ლოგინში წევს... ავადაა.

— კარგი, ჰატარა...

შვიდიოდე ტებილი ჭერეული ამოვარჩევანებ მეღუქნეს და ბავშვს გადავეცი პარკით.

ბავშვმა სიხარულით დასტაცა ხელი კვერეულებს, მაგრამ უხეში შეხებით ქალალდის პარკი გაეხს და კვერეულები ძირს მოეღავა.

ბავშვმა ხელი მოიარნადავა, კვერეულები მოხვეტა და კალთაში ჩაიყარა.

ჩემმა მედუქნებ წყენით გაადევნა თვალი, როცა ბავშვმა მოკურცხლა და ჩემს გასაგონად წაიბუტობუტა:

— ჰარამშადა, შეხედე აქაურობა როგორ მომინაგვიანა, შემდეგ მე მომიბრუნდა:

— ბოდიშს ვიხდი... გეტყობათ აქაური არ უნდა ბრძანდებოდეთ; როგორ შეიძლება მაწანწალებისადმი თავის ასეთი გაყადრება? ეგვინი ქურდბაცაცები არიან. ნამეტნავად ეგ ბავშვი მეტად გაქნილი ვინმეა.

მე გავილიმე.

მედუქნე უკმაყოფილოდ მოტრიალდა.

ის-ის იყო კარზე გამოველი, რომ ერთი აურზაური და ლრიანცელი შემომესმა:

— დაიჭიო, დაიჭიო....

— არ გაუშვათ, ეგ ურიის ლლაპი....

— დაიჭიო...

— ხიდისკენ გაიქცა, ხიდისკენ....

ქუჩაზე ბრბო შექუჩდა, შემდეგ ტალღასავით დაიძრა და გაათორებით, თითქოს იერიშზე გადავიდა, ხიდისკენ გაექანა.

— რა მძავია? — ვიკითხე მე.

— ვიღაც ურიის ბავშვს რაღაც მოუტაცნიაო.

გულში გამკენწლა. მე იქით გავეშურე, სიითაც ბრბო მიჯირითებდა და თავკირის მტვრევით თავზე ერთმეორებს ახტებოდა.

ჩემს წინა ვიღაც ქალი წიაქცა, ვიღაცამ წამოჟყენა, ვიღაც უშვერი ენით იგინებოდა.

— დაიჭიო.... დაიჭიო.... არ გაუშვათ....

არ ისვენებდა ბრბო, რომელსაც უსაქმიბის შემდეგ გასართობი საქმის გამოჩენა გაახარებოდა. —

— დაიჭიო.... დაიჭიო.....

და ეს სიტყვა ერთი პირიდან მეორეზე გადადიოდა, ბოლოს იქნამდე მივიდნ, რომარ იკოდენ ვის იქტრდა, რად იქტრდა. ზოგი დაფრთხა კი ეც და მიმონგრეულ აღაყაფის კარებში შეიჭრა, ყაჩალები ხომ თავს არ დაგვესხენ.

მიგრეხილ-მოგრეხილი ქუჩებიდან, რომელიც ბლობად ახლდა დაბა ცხინვალს, ახალმა ბრბომ წამოყო თავი. მედუქნეები გამოცვიდნენ და თვალების ცეცებით უკვე შეუდგნენ ღუქნის დარაბების კეტეას. ემანდ გიურ ჭრიაზები არ იყენენ და თოფების სროლა არ ასტეხონ.

— დაიჭიო... დაიჭიო...

ბოლოს ეს ხმაც შეწყდა. ყველა ქუჩის ბრბო ერთს წერტილზე შეჩერდა, საღაც სქელწვერა უზარ-

მაზარ ურალნიქს, კისერში წაევლო ბაგშვისათ-  
გის ხელი და კატის კნუტივით მოათრევდა.

— რა ამბავია? — ვიკითხე მისელისთანვე.

— ამ ქურდბაცაცა ურიის ლლაპშა საშაქარლა-  
მოდან კვერები გაიტაცა.

უმაღვე მივხვდი საქმე რაშიაც იყო, და ბრბო  
გავაპე, რომელიც გოლიათ ურალნიქს გარსშემო-  
ხვეოდა.

— რას ერჩით ამ ბაგშვს?

— ეს ქურდია... კვერები გაიტაცა იმ დუქნი-  
დან.

ბაგშვი წიოკობდა, იმდენად დაფეთხებული იყო,  
რომ ვერც კი შემამჩნია. საბრალოს კალთა მაგრად  
მოებლუჭა, და თან მთელი ხმით ლრიალებდა:

— არ მომიპალია... ლას მელჩით.... გამიშვით...  
იმ კაცმა მაჩუქა დუქანში, ფიკულობდა პატარა,  
მაგრამ არავინ უჯერებდა.

— თქვენ ცდებით, ბატონო, ეგ ქურდი არა. ალშფოთებული ხმით მივმართე ურალნიქს.

— როგორ არა! მე ჩემის თვალით დაგინახე, რომ იმ დუქნიდან გამოიტაცა და შინისაჟენ გაეკურ-  
ცხლა, — ამბობდა ერთი მედუქნე, რომელსაც შუ-  
ბლზე ოფლი გადასდიოდა.

— აგვიკლეს.... მეტის მოთმენა აღარ შეიძლე-  
ბა, — იძახოდა მეორე, — ხან რას მოიტაცებენ ეს  
ურიის ნასხლეტები და ხან რას. თუ ასე გაგრძელდა, დუქნები უნდა დავკუტოთ და ესაა.

— თქვენ სცდებით, ბატონო, — მივმართე მათ. —  
ეგ კვერულები მე ვუყიდე.

ბედუქნებმა თვალები დააჭირეს.

— თქვენ-ენ?

ბაგშვმა ხმაზე მიცნო და მომებლაუჭა.

— მისველეთ... წამალთმევენ, ძია... ბაგშვები

ბაგშვს მივუალერსე, ურალნიქმა ხელი გაუშვა და  
თან მხრები აიჩინა.

— არაფერი მესმის, არაფერი...

თითქოს ენანებოდა კიდეც, რომ მსხვერპლი ხე-  
ლიდან გამოსტაცეს და უსქმურობით გადალეული  
გული ვერ გაიხალისა ბაგშვის ცემით. ყოველ შემ-  
თხვევისათვის ბაგშვს ყური აუწია ისე მაგრად, რომ  
კინძომ აახია და თან დასჭირება:

— გეეთრიე... კვლავ ალარ მომხვდე ხელში,  
თორემ... ყოველთვის კი არ გამოგიჩნდებიან ასეთი  
მფარველები.

ჭიტლაყი ამოჰკრა. ბაგშვი ლრიალით დაასკდა  
დედამიწას. ავენთე. მინდოდა თავხედს სილის გარ-  
ტყმით გაემასპინძლებოდი, მაგრამ თავი შევიკავე:

— გრცხვენოდეთ... ბაგშვი წამოვაყენე.

ბრბომ გაოცებული თვალი გამომაყოლა. აშკა-  
რად გავიგონე, რომ გიურ დამიძახეს ჭა სიცილი და-  
მაყარეს...

ურალნიქმა იქვე ბაყალს ერთი მუჭა ლილიფაც  
აართვა და კნაწანუწით თავი შეიქცა.

— ძველად კნიაზებს გჩოდით, ახლა ესენი უა-  
რესები დასხდნენ, ნახავთ თუ ესეც ვინმე ბუნტოვ-  
ჩიკი არ გამოდგეს. — წაიტუტუნეს ერთმანეთში მე-  
დუქნებმა და ზიზღით გამომაყოლეს თვალი.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

დაგით კასრაშვილი

# სამართლებრივი მინისტრი

(საჩხერის საბაგშო სახლის ობოლ ბაგშვებს თამარ პაპანაშვილსა და მარო ლაშეს)

მთხოვეთ ლექსი დამეტერა  
თბილი გრძნობის გამომთქმელი,  
მომენახა ობლის კერა,  
ამეკინდა ობლის ცრემლი.  
მეთქვა: სოფლად პატარები  
როგორ დარჩით ბედშავ დედას,  
შეთქვა როგორ ატარებდით  
ბაგშვურ გულით დარდს და სევდას.  
კიდევ მეთქვა, მაგრამ არა,  
მძულს ლექსები სიხრალულის,  
რაც იობლეთ ისიც კმარა,  
ახლა დროა სიხარულის.

დღეს იბლობა დაამთავრეთ,  
ალარ გაეხარო ქუჩის ბაგშვებს,  
ახალ ყოფის მზე და მთვარე,  
თქვენს თვალებში მოკაშებს.  
ეს საჩხერის მინდორ-ველი  
თქვენ სალხენად მოგიმზადეთ,  
მოიმაგრეთ ნორჩი წელი,  
იხარეთ და დაიზარდეთ.  
და მეც შეტი სიყვარულით  
მოგწერთ ლექსებს შარბათნარევს...  
სალამი და სიხარული  
ამომავალ კომუნარებს.

# პრენტეზილის თავგადასავალი



როგორ დაემორჩილო პრენტეზილი  
რესპუბლიკის კანონებს

პრენტეზილი საზოგადოების აზრის შინაგა

ციხეში რომ მოიყვანეს, გაკეთებით და აღტა-  
ცებით შეპყრობილი კრენკებილი თავის მიჯაჭულ  
სკამზე ჩამოვდა. იცოდა, რომ „სიკვდილი ძროხებს“  
არ დაუძახია, ხუთმეტი დღის ციხე კი იმისთვის  
მიუსაჯეს, რომ ეს დაიძახა. მისი ფიქრით ეს დღიდი  
საიდუმლოება იყო, ბნელით მოცული და საშინელი  
გამოცხადება. ეს საბრალო მოხუცი თავს დამნაშა-  
ვედ მხოლოდ იმაში გრძნობდა, რომ პოლიციელს  
ცეურაცყოფა მისტრიურად მიაყენა.

კრენკებილს ნათლად ვერ წარმოედგინა ვერც  
ბოროტმოქმედება, მით უფრო ვერც თავისი სა-  
სჯელი. განაჩენი მისთვის ოალაც სახეიმი მოვლენა  
იყო, თვალის მომჭრელი, მიუწვდომელი, ამით ვერც  
თავს მოიწონებდა, ვერც შესჩივლებდა ვინმეს. ამ  
დროს შარავანდით მოსილი, გახსნილ ჭირიდან ჩა-  
მომავალი თეთრიფრთებიანი თავმჯდომარე ბურიში  
რომ დაენახა, არ გაუკეთებდებოდა, მხოლოდ იტყო-  
და: აი, ჩემი საქმე, რომელიც გრძელდება...

მეორე ღლეს მის სანახავად ვექილი მოვიდა.

— ეჭ, ჩემო კარგო, თქვენ არც ისე ცუდათ  
ბრძანდებით. ყოჩალად იყავით. ორი კვირა ძალიან  
ჩქარა გაივლის. ბედის სამდურავი არაფერი გვაქვს.

— ამის შესახებ შეიძლება იცევას, რომ ეს ბა-  
ტონები ძალიან ნაზი, თავაზიანები იყვნენ, არც ერ-  
თი უხეში სიტყვა. მე არ დავიჯერებდი. და პოლი-  
ციელმა თეთრი ხელთაოთანები ჩაიცვა. თქვენ არ  
დაგინახავთ?

— კარგათ მოვზომეთ. ჭირიდან მოვიქეცით,  
რომ დანაშაული ვალიარეთ. კრენკებილ, სასიამოვ-  
ნო ამბავი უნდა გაღმოვცე. ერთმა მოწყალე აღა-  
მიანმა, რომელიც თქვენი მდგომარეობით დავინ-  
ტერესე, გადმომცა თანხა ორმოცდათი ფრანგის  
რაოდენობით. ამით თქვენთვის მისჯილ ჯარიმას  
დავფარავ.

— ჰოდა, ორმოცდათს ფრანგს როდის გაღმომ-  
ცემთ?

— ის გადაეცემა სასამართლოს კანცელარიას,  
ამის შესახებ ნუ შესწულდებით:

— ეს სულერთია. იმ ადამიანს მე მაინც მაღლო-  
ბას მოვახსენებ.

და ჩაფიქრებულმა კრენკებილმა ჩაილულულა:

— რაც მემართება, ეს ჩვევლებრივი ამბავი არ  
არის.

— ნუ გააზვიადებთ, თქვენი შემთხვევა იშვიათი  
არ არის, პირიქით.

— ინებ შეიძლოთ მითხრათ — ჩემი ურიკა სად  
მიმალეს?

ციხიდან გამოსული კრენკებილი მონტმარტრის  
ქუჩაზე მიაგორებდა ურიკას და გაიძახდა:

„კომბოსტო, ბოლოკი, სტაფილო“. თავის თავგა-  
დასავალით არც ზეიადობდა, არც სამარცხინოდ  
მიაჩნდა, არც მძიმე მოგონება დარჩენია გონებაში.  
ეს აღიბეჭდა, როგორც თეატრში ან მგზავრობის  
დროს ნახული და ნაცნებები. განსაკუთრებით კმა-  
ყოფილებას გრძნობდა, ტალაბში ქალაქის ქვაფენი-  
ლზე რომ დაციოდა და თავს ზემოთ ხედავდა ნია-  
ღვარივით სქელსა და ჭუჭუიან ცას, თავის ქალაქის  
საყარელ ზეცას, ქუჩის ყოველ კუთხეში ჩერდებო-  
და, თითო ჭიქა რომ გადაეკრა, შემდეგ თავისუფა-  
ლი და მხიარული ხელებზე დაიფურთხებდა, და მია-  
გორებდა თავის ურიკას, მის ჭინ კი მასავით დი-  
ლა-ადრიანად გაღვიძებული და საწყალი ბელურე-  
ბი ქვაფენილზე საკვებს დაეძებდენ და მის ჩვეულე-  
ბრივ ძახილზე: „კომბოსტო, ბოლოკი, სტაფილო“  
გუნდ-გუნდათ აფრინდებოდნ. ერთი მოხუცი დია-  
სახლისი მიუსახლოვდა და ნიახურის ამორჩევის დროს  
ეუბნებოდა:

— რა მოგივიდათ მამა კრენკებილ? სამი კვირა  
იქნება, არავის დაუნახავხართ. ავად იყაფით? ცოტა  
ფერი დაგვარგიათ.

— გეტვით მაღამ გაიოშ, რანტიე გაეხვდი.  
მის ცხოვრებაში არაფერი გამოცვლილა გარდა იძისა,  
რომ ჩვეულებრივზე უფრო ხშირად დაიდის მიკეტან-  
თან, რადგან ჰელინია, რომ უქმეა და მწყალობელი  
აღამიანებს გაეცნო. თავის ქოში შემხიარულებული  
ბრუნდება, ლოგინზე გაიჭიმება, საბნის მაგიერ გა-  
დაიხურას ტომრებს, რომლებიც წაბლის ვაჭრისაგან  
ითხოვა და ფიქრობს: „ციხე.. კაცი ვერ დაემდუ-  
რება, ცველაფერია იქ, რაც კი საჭიროა, მაგრამ მა-  
ინც შინ ყოვნა სჯობს“.

მისი კმაყოფილება ხანმოკლე გამოდგა. ჩქარა  
შენიშნა, რომ მყიდველები გლახად ხედებოდენ.

— მშენიერი ნიახური, მაღამ კვანტრო.

— არაფერი შეირდება.

— როგორ არაფერი გჭირდებათ? მაშ თქვენ  
ჰაერით ცხოვრობთ?

მაღამ კუანტრო პასუხას გაუცემლად ქედმალ-  
ლად შედიოდა დიდ ფურნეში, მას რომ ეკუთვნო-  
და.

მოგაჭრე და მეგარე ქალები მის ამწვანებულ,  
აყვავებულ ურიკას ოდესლაც ხანგრძლივად გარშე-  
მო რომ უსხდენ, ახლა ზურგს აქცევდენ, მფარველ  
ანგელოზის ფეხსაცმელის სახელოსნოს რომ მიალ-  
წია, საღაც მისი სასამართლოს ამბავი დაიწყო, დარ-  
ძახა:

— მაღამ ბეირალო, მაღამ ბეირალო! თქვენ ჩემი  
გმართებთ მაშინდელი ხუთმეტი სუ.

მაგრამ მაღამ ბეირალი, რომელიც დახლს უჯ-  
და, თავის მოპრუნებაც არ ინგა.

მონტმარტრის მთელმა ქუჩამ იცოდა, რომ კრენ-  
კებილი ციხიდან გამოვიდა და მთელი ეს ქუჩა მას  
უკვე აღარ ცნობილობდა. მისი სასჯელის ამავემა,  
ქალაქის განაპირი უბნიშედე და რიშერის ქუჩის ახ-  
მაურებულ კუთხემდე მიაღწია. იქ, შუადღისას მაღამ  
ლორი შენიშნა, თავისი კეთილი და ერთგული შეი-  
დგვით, პატარა მარტენის ურიკაზე თაყდანილი  
დიდ კომბოსტოს სინჯავდა ხელით. პატარა მარტენი  
კი გულზე ხელს იდებდა და ეფიცეპოდა, რომ იმა-  
ზე უკეთეს საქონელს ვერსად იმზინიდა. ამის შე-  
მცირებარე კრენკებილს გული დაეფლითა. პატარა  
მარტენის ურიკასთან თავისი მიაიროა და მაღამ ლორს  
შესაბრალისი და გაბზარული ხმით უთხრა:

— ეს არ არის კარგი, რომ ჩემს ერთგულობა-  
ზე ხელი აიღო.

მაღამ ლორს ვითომ გული აერია, კრენკებილს  
მეტი არაფერი უპასუხა. ფეხზე მოვაჭრე მოხუცეა  
შეურაცყოფა იგრძნო და დაიღმუვლა:

— წაეთრიე, შენ გიძვერა.

მაღამ ლორს მწვანე კომბოსტო ხელიდან გაუ-  
ვარდა და წამოიძახა:

— თვითონ წაეთრიე, შენ ციხის ბინადარო.  
უკერძო ამას: ციხიდან გამოსულა და ხალხს შე-  
ურაცყოფას აყენებს.

კრენკებილი თავს ვერ იკავებდა. სამჯირ დაუძა-  
ხა მაღამ ლორს ცაბიერი მაღამ ლორისა და კრენ-  
კებილის გარშემო ცნობისმოყვარეთა წრე გაკეთ-  
და. მათ კიდევ უძლვნეს ერთმანეთს ლანდღა-გინე-  
ბა ისეთივე საზეიმო, როგორც პირველი. ერთმანე-  
თის შესაძლობად ისინი არც ერთ შეურაცყოფელ  
სიტყვას არ დაიშურებდნ, რომ მოულოდნერად  
მოსულ პოლიციელს თავის სიჩუმით და უმოძრაო-  
ბით მოჩხუბარიც უძრავი და შუნჯი არ გახსადა.  
მაგრამ ამ შემთხვევამ კრენკებილი საბოლოოდ დას-  
ცა მონტმარტრის გარეუბნისა და როშერის ქუჩის  
მოსახლეობის თვალში.

## შედეგები

ოდესაც ორივე ისინი ერთად ხალისიანად სა-  
უბრიობდნ. ქალი ელაპარაკებოდა თავის დედ-მა-  
მაზე, სოფელში რომ ცხოვრობდა. ხშირად ორივე  
ერთსაა იმავე სურვილს გამოსტევამდე: სადმე  
პატარა ბალი გაუშენებით და წიწილება გამოეზარ-  
დათ. მაღამ ლორი მისი კარგი მყიდველი იყო.  
როდესაც ის პატარა მარტენთან დაინახა მისული  
კომბოსტოს საყიდელათ, ისე ეწყინა, თითქოს მუ-  
ცელში წიბლი ჩაერტყათ. და მის მიმართ სახე ზე  
ზიზი რომ გამოხატა, კრენკებილს ბრაზით გული-  
ყელში მიებჯინა. რა გასაკეირალია.

ყველაზე უფრო საშინელება ის იყო, რომ, რო-  
გორც ქეყიანს, მარტო ეს ქალი კი არ გაურბოდა,  
არამედ მის ნაცნობობას კველა ერიდებოდა: რო-  
გორც მაღამ ლორი, მაღამ კუნატრო და მეპურე  
ქალი; მფარველ ანგელოზის უბნიდან მაღამ ბეირა-  
დი — მას კველანი ზიტლით უცერებოდნ და ახლოს  
არ იკარებდნ. გესმით, მთელი საზოგადოება.

დახეთ, ხუთმეტი დღეს ციხეში ყოფნის გამო ის  
პრასის გამყიდველად აღარ ვარგოდა. ეს სწორი იყო?  
ნუთუ ჭევიანური აზრი იყო სიმშილით მოეკლათ

პატიოსანი კაცი მხოლოდ იმისათვის, რომ პოლო-  
ციელებთან მას საქმე გაურითულდა. მწვანილის ვა-  
ყიდვა აღარ შეეძლო და სულის ამოხდენის მეტი  
რალ დარჩენოდა.

როგორც უუდათ დაყენებული ლვინო, ის ცარ-  
დებოდა. მაღამ ლორთან წალაპარაჟების შემდეგ  
ასეთივე უსიამოვნება ყველასთან უხდებოდა. თავის  
მეგობარი წაბლის ვაჭარიც მას აღარ ცნობილობდა.  
იგი აცხადებდა კრენკებილი ნამდვილის მარჩვ-ზღარ-  
ბად გადაიქცაო.

უბედუობისაგან უსამართლო შეიქნა. შურს ისე-  
თები იძიება, რომელსაც მისოვის ცუდი არ სურ-  
დათ და ხშირად მასზე უფრო სუსტები იყვნენ.  
ერთხელ ღვინის ვაჭრის პატარა ბიჭს აღფონს სი-  
ლა გაარტყა იმისთვის, რომ იგი შეკითხა ციხეში  
ჯდომა კარგი იყო. სილა გააწინა და უთხრა:

— ბიძური ლაწირაკო. ციხეში მამაშენი უნდა  
ჩესვათ მის მაგიერ, რომ საწამლავის გაყიდვით  
მდიდრდებოდა.

აი, საქართველი და სიტყვა-პასუხი, რომელიც სა-  
ხელს არ მატებდა. ბავშვს არ უნდა ცემო, არც  
გაპიცხო მამის გამო, რომელიც თვითონ არ ამო-  
ურჩევია.

სხას მიჰყო ხელი. რამდენადაც ცოტა ფულს  
შოულობდა, იმდენად მეტს არაყს ყლუნწვადა. ოდეს-  
ლაც ხელმომჭირნეს და თავდაჭერილს თავის ცვლი-  
ლება უკვირდა.

— მოქეთვე არასოდეს არ ვყოფილვარ, ამბობ-  
და — უნდა ვიფიქრო, კაცი რომ ბერდება სიდინჯეს  
ჰკარგავს. ზოგჯერ თავის უსამართლობას და სიზარ-  
მაცეს სასტიკად ჰკიცხავდა.

— ჩემთ მოხუცო კრენკებილ, შენ კარგი ხარ  
გადაკვრა რომ არ გიყვარდეს.

ზოგჯერ თავის ატყვილებდა, აჯერებდა რომ სმა  
აუცილებელი იყო.

ხანდახან თითო ჭიქის გადაკვრა საჭიროა მოსა-  
ლონიერებლად, გულის გასამნევებლად. შიგნულო-  
ბაში უძველეს რაღაც დამწერი მაქს და სასმელს  
ვხმარობ როგორც საგრილებელს.

ხშირად დილის ბაზრობა გამოკვებდა და მხო-  
ლოდ დაზიანებულ საქონლის შეძენას არ ახერხე-  
ბდა, რომელსაც ნისიად აძლევდენ. ერთ დღეს მუხ-  
ლების დაღლა და გულის სისუსტე იგრძნო. თა-  
ვისი ურიკა ბავში დასტოვა და მთელი დღე შიგნე-  
ულობით მოვაწრე მაღამ როზის სავაჭროსა და პა-  
ლის სამიკიწოდების გარშემო ტრიალში გაატარა.  
საღამოს ქალათაზე ჩამომჯდარი ფერების მიეცა და  
თავის დაქვეითება შერცება. მოიგონა თავის პირ-  
განდელი ძალონენ, ძველი მუშაობა, ხანგრძლივი  
შრომა და კარგი საშოგორი, თავის უთვალავი დღე-  
ები — სავსე და თანაბარი. ბაზრობის მოლიდინში  
დამით სიარული პალის მოედანშე , ორივე ხელით  
აღებული მწვანილის ურიკაზე სტატურად დალა-  
გება, დედა თეოდორასთან ჭიქა სულ ცხელი შავი  
ყავის, ფეხზე დამდგარი ერთი მოსმით გადაყლაპა. დარბაისლურად ხელში დაჭრილი ხელნა, მამლის  
ყივილივით ძლიერი თვისი ძანილი დილის ჰაერს  
რომ არხევდა, სიარულს ხალხით საბეჭდო ქუჩებში. მო-  
იგონებდა მთელი თავის უცოდველი და მეკური  
ცხოვრება ცხენადამიანისა, რომელსაც ნახევრი სა-  
უკუნის მძინილზე თავის საგორებელ საგაჭროთ მიჰ-  
ქონდა უძილო დამეცით და ზრუნვით დალილ ქა-  
ლებილებისათვის ქორფა ბოსტნეული. კრენკებილმა  
თავი გაიქნია და ამოირარა:

— აღა, აღარ მაქვს ძელებური ვაჟკაცობა, მორჩი ჩემი საქმე. კოდა წყალს ყოველთვის ვერ მოიტანს, ერთხელაც იქნება წყარისზე გატყვდება. სასამართლოში ჩემი საქმის გარჩევის შედევ, აღარ მაქვს იგივე ხასიათი. აღარ ვარ იგი ადამიანი. ეჭ.

მნენება სრულიად დაპარგადა. ისეთ მრგომარეობაში ჩვარდა, როგორც მიწაზე დაცუმული და ფეხზე წმოდგომის უნარმოკლებული ადამიანი, რომელსაც ყოველი გამვლელი ფეხშევეშ სთელავს.

### შეპარესებული ზედევები

სიღარიბე მოვიდა, შევი სიღარიბე. მოხუც ფეხზე მოვაჭრეს, რომელსაც ოდესლაც მონტმარტრის გარეუბნიდან საქსე ტომირით ასო სუს საქონელი მოპევნდა, ახლა ერთი კონაც არ მოეპოვებოდა. ზამთარი იყო. თავის ქოხაზიდან გამოგდებულა დამეტ ბაქში გაათავა, ურმების ქვეშ.

ოცდაოთი დღის შეუწყეტელი წვიმების გამო, წყლები აღიდდა და ბაქში შეიტრა. კრენკებილი თავის ურიკაზე შესკუპდა, აშმორებულ წყლის ზემოთ. მომავარითავეგბის და მშეღრი კატების საზოგადოებაში მოხვედრილის, სიბერელემა თავი ფიქრებს მისცა. კელი დღე არაფერი უჭამია, წაბლის ვაჭრის ტომრებიც აღარ ჰქონდა დასახურავად. მოიგონა ორი კვირა, რომლის განჩავლობაში მთავრობამ მისცა მას ჭერქვეშ ბინა და სასმელ-საჭმელი. ტუსალთა ბედი შეშურდა, რომელთაც არც სიმშილი, არც სიკივე არ აწუხებდა, და ასეთი აზრი მოუყიდა: „მე ხომ ხერხი ვიცი, რატომ არ გმიოვიყენო“.

ადგა და ქუჩაში გავიდა. თერთმეტ საათზე მეტი არ იქნებოდა. შევი, შემაწუხებელი ამინდი იყო. ნისლი წვებოდა. წვიმაზე უფრო ცივი და ძვალრბილის გამხვრეტი. თითო-ოროლა მგზავრი კედლებს გაკრული შინისკენ მიიჩიაროდა.

კრენკებილმა წმ. ესტატეს საყდარს ჩაუარა და მონტმარტრის ჭუჩისაკენ შეუხედა. კაცი არ ჩანდა. წესრიგის დამკველი იდგა ფილაქნზე დარჭობილი, საყრდის კიბის წინ, აირის სანათის ქვეშ, რომლის შეუწევ წვიმა წითლად სცრიდა და პოლიციელს ყაბალებზე ეცემოდა. როგორც ეტყობოდა, პოლიციელს წკიდოდა. მავრამ იმიტომ, რომ სიბნელეს სინა-

თლე ერჩია, თუ სიარულისაგან იყო დაღლილი, ზავის შანდალს შეხიზნებოდა და იგი საამხიანგოდ, მეგიაბრად გაეხადა. განძარტოებულ დამტეში მხოლოდ ალის თრთოლვა იყო მისი ერთად-ერთი მოსაუბრე. მისი უმოძრაოდ დგომა არ ჰყავდა ადამიანურს, მისი ჩემების ლანდი ტბის მსგავს სკელ ფილაქნზე ქვემოთ გრძელდებოდა და შორისან ზეგა-ხმელეთის მობინადრე ვეზაბის სახეს აძლევდა. ახლოდან ყაბალახიანს, შეიარალებულს ბერული და მხედრული გამომეტყველება ჰქონდა. მშეოდი და სევდიანი იყო, სახის უხეში ხაზები ყაბალახის ჩრდილისგან უფრო უხეში მოსახიანდა. სქელი ულვაშები ჰქონდა, მოკლე და რუხი. ეს ძველი პოლიციელი იყო, კაცი ორმოციოდე წლისა.

კრენკებილი მიუასლოვდა მას წყნარად და მერყევი სუსტი წმინდა:

— სიკვდილი ძროხები!

შემდეგ დაელოდა იმ ნაცადი სიტყვების გავლენას. მაგრამ მის ნათქვამს არავითარი ცვლილება არ მოჰყოლია. პოლიციელი დარჩა უძრავად და მუნჯად თავის მოკლე მანტოს ქვეშ გულზე ხელდაკრეფილი. მისი დილი ფართო თვალები, ჩრდილში რომ ბრწყინვალენ, კრენკებილს უცქეროდენ სიფრთხილით, ზისლით და სევდიანად.

გაოცებულმა კრენკებილმა, რომელსაც თავისი გარდაწყვეტილების ნაშთი კიდევ შერჩენდა, წაილულულა:

— სიკვდილი ძროხებს! მე თქვენ გითხარით!

ხანგრძლივი ღუმილი ჩამოვარდა. წვრილი წვიმა წითლად სცრიდა და ცივი სიბნელე მეუბდა. ბოლოს პოლიციელმა სთქვა:

— ეს სათქმელი არ არის. გარწმუნებთ, რომ ეს უეჭველად სათქმელი არ არის. თქვენი ხნის კაცს მეტი მოეთხოვება.... თქვენი გზა გაიარეთ.

— რატომ არ მატუსალებთ? — შეეკითხა კრენკებილი.

პოლიციელმა სველ ყაბალახის ქვეშ თავი გააქანა:

— თუ ყველა ლოთის, რომელიც ამბობს რაც სათქმელი არ არის, დაჭრას შევუდევით, დიდ სამუშაოს გავიჩნდით.... ეს კი რა სარგებლობას მოგვიტანდა.

დიდისულოვანი ზისლით შეწუხებული კრენკებილი დიდხანს ეყუდა უაზროდ, დამუნჯებული, ღვარში ჩამდგარი. სანამ წავიდოდა, ის შეეცადა თავისი განზრახვა გამოემულავნებია.

— ეს თქვენთვის არ იყო ნათქვამი: სიკვდილი ძროხებს. ეს არც სხვა ვინწესოვის იყო თქმული. ამაში სხვა აზრი იყო.

პოლიციელმა მეაცრი სიმშევილით უბასუხა:

— ამაში სხვა აზრი იყო, თუ სხვა მიზანი, ეს სათქმელი არ არის. როდესაც ადამიანი თავის მოვალეობას ასრულებს და დიდ ტანჯვას იტანს, ფუჭი სიტყვებით მას შეურაცყოფა არ უნდა მიაყენო.... მე თქვენ გიმეორებთ თქვენ გზაზე გაიარეთ.

თავდახრილი კრენკებილი ხელების ქნევით წვიმაში სიბნელეს მოეფარა.

ანატოლ ფრანსი

თარგმანი ფრანგულიდან იროდიონ ქაგჯარაძისა





„აუ, ივაკ, გითორგი, ალე“.  
შორიდან ჰაერს მოაქვს ეს ხმები:  
„წამოდით, გიცდით, წამოდით მალე.  
წამოიყვანეთ ოქვენი ურმები“.  
განთიადიდან ისმის პირველად  
ასე საერთო წარმართვა შრომის.

სიბნელის მკვლელმა ხმალმა იელვა,  
გამოეცხადა მას ცხარე იმი.  
სოფლად ამ მთაში, სიღრმეში ტყისა,  
სად მხები წინათ იწვევდა ძრწოლას.  
დღეს შეგნებული ნება ხალხისა  
სოფელს უშენებს კლუბსა და სკოლას.  
**იასაგანი**

## ლევანისი რობროხაძე

დ ა ზ ი ც ე ბ ა

ხუცესს თავისთავზე უფრო ჭევიანი ჯორი ჰყავდა.  
გააგსებდა ხუცესი ქელებში ხურჯინს, აპეიდებდა ზურ-  
გზე ჯორს და შინისკენ გაისტუმრებდა. თითონ კი  
ქელებს განაგრძოდდა. ჯორი პირდაპირ შინ მივი-  
ღოდა და ფოფოდის ძღვენს მიუტანდა.  
ერთხელ ლევარსი გზის პირას ყანას თოხნიდა.  
სწორედ ამ დროს ჩამოიარა ხუცესის ჯორმა, რო-  
მელსაც ზურგზე საესე ხურჯინი ეკიდა. ლევარსიმ  
დაიჭირა ჯორი, ამთაღაც ხურჯინიდან საჭმელ-სა-  
სმელი, ხურჯინი ბაღახ-ბუღახით გააესო, ისევ  
აპეიდა ჯორს და გაისტუმრა.

ფოფოდიმ წიგილ-ეგილი მორთო, როცა ხურ-  
ჯინში ის არ აღმოჩნდა, რასაც მოელოდა.

მთელმა სოფელმა გაიგო ჯორის გაქურდვის ამბავი.

ეკლესიაზე გამოკითხვა და ძიებაც დაიწყეს ამ  
ამბის შესახებ.

ბოქაულმა პოლიციელიც გამოგზავნა, მაგრამ ქურ-  
დის ნაკვალებსაც ვერსად მიანენს. ეჭვი ლევარსი-  
ზედაც მიიტანეს, მაგრამ მან ცივი უარი დაარტყა.

საქმე ისე გართულდა, რომ შემჩნეულ პირებს  
ხატზე დაფიცება მოსთხოვეს. ლევარსის საჯაროდ  
უნდა დაფიცე ხატზე, რომ მას არ გაუქურდავს  
ჯორი. ზოგიერთებმა იცოდენ, რომ ხუცესი ჯორი  
ლევარსიმ გაქურდა, მაგრამ საიდუმლოს ინახავდნენ.

— ახლა რას იჩამ, ლევარსი? ხომ ვერ დაიფი-  
ცე ხატზე! — ეუბნებოდენ ლევარსის, რომელსაც  
მაშინ ლმერთი და ხატი უფრო მეტად სწამდა, ვი-  
დრე თითონ ხუცესს.

და მათ გაეკირებას საზღვარი არ ჰქონდა, რო-  
ცა ლევარსიმ საჯაროდ დაიფიცა ხატზე:

— ვფიცავ ამ წმინდა ხატს, იესოქრისტე მაც-  
ხოვარსა და მის ამ წმინდა ეკლესიას, რომ მე ქურ-  
დობა არ ჩამიდენია მას შემდეგ, რაც აკვინდან გაღ-  
მოვედი. თუ მე ამას ვტყუოდე, გამიწყრეს ყოვლად


ძლიერი ღმერთი და უკულმა წავიდეს მთელი ჩემი  
ცხოვრება.

ამ ფრცის შემდეგ ყველა დარწმუნდა, რომ ლევარ-  
სი არ იყო მღვდლის ჯორის გამქურდავი.

— როგორ გაბედე ლევარსი და ტყუილი დაი-  
ფიცე! — შეეკითხნ მას.

— მართალი ვთქვი, ტყუილი არ დამიტიცას.

— განა ჩვენ არ ვიცოთ, რომ ჯორი შენ გა-  
ქურდე?



— არ დამიტიცას ტყუილი. წუხელის აკვანში  
ვიძინე, ამ დილით გადმოვედი აკვინდან და ამ დი-  
ლის შემდეგ არც ქურდობა ჩამიდენია.

თურმე ლევარსიმ დაფიცების წინაღმით აკვან-  
ში იძინა, რომ მეორე დღეს შეძლებოდა ხატზე  
დაფიცება.

## თავი ვეორე

ეგებ თქვენ, ყმაშვილებო, იფიქროთ, თითქოს ჩვენ  
ვიგონებდეთ ჩვენს გმირზე ასეთ ამბებს. ამიტომ  
მოვისმინოთ თითონ მისი ნაამბობი.

## ეპისტოლის ჯორი

ერთხელ ჩვენს მონასტერს ეპისკოპოსი ეწვია ჯორით.

ჯორი გალავნის ქარებთან დააბეს შარაზე.

შუა წირვაში იქნებოდა ეპისკოპოსი, რომ ჯორმა საშინელი ღრიალი ატეხა. ოურმე ცხენები შემოესიერ საწყალს. დაინახა ეს ეპისკოპოსმა მონასტრიდან და იყიდია წირვის დროს:

— მიშველეთ, ცხენებმა ჯორი დამიკბინეს! — და მიატოვა წირვა.

სანამ ჩვენ მივიღოდით ჭიშკართან, ჯორმა ლაგამი წაიძრო თავიდან და გაიტცა. უკან ცხენები დაედევნენ.

— აბა, ლევარსი, შენ იცი ახლა, თუ გვიხსნი სირცხვილისაგნ! — მითხრეს სოფლელებმა.

გამოვუდექი უკან ჯორს და ცხენებს. დავეწიე ერთ ცხენს. შევახტი ზურგზე და გავაქროლე. დავეწიე ჯორსაც. ვისკუპე ცხენიდან და ჯორზე გადავხტი. აყარა ჯორმა ტლინები და ძირს გადმომაგდო, მარა ისევ დავეწიე, ვსტაცე ხელი ძუაში და გაჩაჩერე. ჯიუტობს. არ მოდის. მოვხვიე ხელები, გამოვიდევი მხრებზე და მოვიტანე ეპისკოპოსთან.

— აბა, ასდევით ახლა ლაგამი! — ვუთხარი დამხდურთ.

ლაგამი ამოსდევს და გალავანში დააბეს.

ეპისკოპოსმა დამლოცა, მარა ვის უნდოდა მისი დალოცვა.

## დათვის დაჭვია

ერთ ზამთარს დიდი თოვლი მოეიდა.

ყოველ მეორე დღეს სჭიროდა სახლის სახურავების თოვლის გადახვეტა სახურავებიდან ჩამონაყრი თოვლი გორსკებად იდგა სახლის გარშემო და სიმაღლით სახურავს უთანაბრდებოდა.

ერთ დილით ავედი სახურავზე თოვლის გადმოსახვეტად.



ავედი და სახურავზე შველს ვხედავ. თანაც დათვის კვალი დავინახე თოვლზე. გავხედე და დათვიც დავინახე. თურმე შველს გამოედევნა ტყიდან და

რომ ვერ დაეწია, უკან გაბრუნება ამჯობინა. მაშინ ვ შევკაზმე ჩემი ლურჯა და დათვს გამოვუდექი. თოვლი მკერდამდის სწვდებოდა ცხენს.

შევედი ტყეში. მიდამო დაბურულია ამწერუნებული ხეებით. სიჩუმეს მხოლოდ გაიღონას სტვენა არღვევს, მერცხლების ჭიკვიყი და ქლდეზე მოჩუხხევენა გადული.

აგრ ტყეში წავაწყდი დამწიფებულ ყანას, საიდანაც ხმაური მომესმა. გადაიხედე ყანაში და დავინახე დათვი, რომელიც სიმინდის ტაროებს შეექცეოდა. რავარც კი თვალი მომქრა, მაშინვე მოკურცხლა და მიმებალა თვალიდან. ბერი ვერებე, მარა ვერ ვნახე. ამასობაში კიდეც მომშივდა, მარა საჭმელი სად იყო.

ერთი წიფელის წევერში თვალი მოვკარი სკას. ცხენი საბალხოზე გავუშვი და წიფელზე ავედი. კარგა ლაზათიანად ვისაუზმე თაფლით, მარა ცოტათი დამათრო, მათრობელა ყოფილიყო. ის იყო, ჩამოსკლას ვაპირებდი, რომ დავინახე დათვი ამინდითა ხეზე თაფლისთვის. საქმე ცუდად იყო: დათვი მოშიებული, მე მოგრალი. აშკარა იყო, რომ მაჯობებდა. მაშინვე ვისკუპე და გადავხტი მეორე ხეზე, რომლიდანაც ძირს ჩამოვედი.

დავუცადე დათვს. იგიც ჩემსავით გამოძრა, მარა ჩემზე უფრო დათვრა. ძირს ჩამოსკლისას თავი ველარ შეიმაგრა და ჩამოვარდა, მარა დიდად არავერი სტენია, რადგან თითქმის ერთი საენი თოვლი იყო. აგდევი დათვს ცხენის ლაგამი, მოვაჯექი ზურგზე და გამოვსწიე სოფლისაგნ. თანაც დათვს დაცინვით ვეუბნებოდი მასზე თქმულ ანდაზას: „ლევარსი რომ მოგრიის, ბაბა ხარო, უთხარი“.

გზაზე ტყეში მწიფე მწყავს წავაწყდი. ძალიან მიყვარს; სულმა წამძლია, მივაპი დათვი ხეზე და მე წყავის მოსაკრეფად წავედი.

როცა დაწმუნდი, დათვი აღარ დამხვდენია, თურმე გაპარულიყო. დავაპირე ხელმეორედ გამოკიდება, მარა აღარ ლირდა, შინისკენ მომეჩაროდა, რადგან ურჩნის კრეფასა და ყანის თესვას უნდა შევდეომოდი.

ჩვენს გმირს არეული ჰქონდა წელიწადის დრონი. ამიტომ ეპვი გამოვთქვით მის ნაამბობზე და შევკითხეთ:

— ხომ ვერავის დაგვისახელებთ, რომ ამ თქვენი გმირობის მოწამე იყოს?

— რავა არა. ბეჟუქა კაქუტაძე შემხვდა ტყეში.

— სად ცხოვრობს?

— ახლა საიქოზი ცხოვრობს. მეორე წელიწადს მოკვდა საწყალი! — მოვეიგო ლევარსიმ და სხვა შემთხვევა გვიამბო.

## ველური ღორის მოკვლა

ძეელად ჩვენ აჭარაში ვცხოვრობდით.

როცა ხვანოქარმა დაიპყრო აჭარა, ქრისტიანები, რომლებსაც არ უნდოდათ გამაჰმადიანება, გურიაში წიმოვედით.

ბევრი საქონელი დაცტოვეთ იქ.

მაპმაღიანებს არ უყვართ ლორი და სულ მუსრი გაავლეს.

გავიდა რამდენიმე ხანი, და სანალიროთ წავედი მთაში.

აგერ ერთ ველურ ტახი წავეპარე.

ტახს კისერზე ულელი ედვა და ეშვები ჰქონდა.

ვესროლე თოფი, მარა ტყვიამ ვერაფერი დააკლო და ლორი ჩემენ გამოექანა.

ხელდახელ შევები.

როცა ეშვი მოვსტეხე და სისხლმა ითქრიალა, გაცოფებით შემომიტია. ვიშიშველე ბებუთი, დაგეარი და მკვდარი დაეცა. გადაბრუნდა და დავინახე, რომ დაკოდილი იყო. გამიკვირდა. ვის უნდა დაეკოდა ველური ტახი და ულელი ვის უნდა შეება. დავუწყე ულელს შეხსნა, მარა რას ხედაეს ჩემი თვალი ულელზე ნიშანი ჰქონდა — ჯვარი, ვიცანი. ეს ჩემი ლორი იყო, რომელიც აჭარაში ცხოვრების დროს დავულეო და მაპმაღიანების შონმოსულის შემდეგ ტყეში გაველურდა.

გავთხარე საფლავი, ცრემლი დავაფრქვიე, მქლავ-ზე სამგლოვიარო არშია გავიკეთე და ქრისტინულად დაგესაფლავე.

ორმოც დღეს ვატარე სამგლოვიარო არშია მქლავ-ზე და ამ ხნის განმავლობაში არც წვერი გამიპარ-სავს.

### ჭიდაობა

ეს ამბავი ბახმაროზე მოხდა, აგარაკზე.

მოჭიდავე გამოჩენილიყო და ჩენ ბიჭებს იწვევ-

და საჭიდაოდ. მოაგარაკებისათვის გამოეცხადებია:

— სანამ ისეთ მოჭიდავეს არ მიშოვთ, რომელიც მე

მომერევა, აქედან ფეხს არ მოვიცვლი და უნდა

მარჩინოთ.

მისი რჩენა კი ძვირი ჯდებოდა: ერთი ბატკანი უნდოდა იჯრაზე. ზორბა რამ იყო. ტანადობით მე არ ჩამომივარდებოდა. ვერავინ ბედავდა მასთან ჭი-

დაობას. სწორედ ამ დროს ავედი ბახმაროზე ყავოის წამოსალებათ.

— ლევარსი, გვიშველე, დაგვიხსნი ამ მოჭიდა- ვისაგან, თორემ გავნადგურდით ხალხი! — შემევერა მოაგარაკეთა დელვეგაცია.

— მომგვარეო!

— წამობრძანდით. აგერ სასადილოში საუზმობს. თქვენც ისაუზეთ — მიმიპატიუეს სასადილოში, სა- დაც მოკიდავე საუზმობდა.

მადიანად ჭამდა. ერთ ქათამს ორ ლუკმად ყლა- ბავდა.

გადავკარი ერთი ყანწი ლვინო და დავულიე, ალავერდი გადავედი. სწორედ ამ დროს ქათმის ბარკალი ეჭირა ხელში და პირისენ მიჰქონდა.

— გმადლობ, ჭოვ, მარა მე ლვინოს არა ვსვამ.

— აბა ქათმის ბარკალს ტურაც კი ჭამს. თუ ყაძახი ხარ, ლვინო დალიე. ლვინის დალევა თუ არ შეგიძლია, აბა რა შეგიძლია?

— ჭიდაობა, ყარდაშ!

— შენ ხარ მოჭიდავე? — განგებ შეგვეკითხე, თი- თქოს არ ვიცოდი, რომ იგი იყო.

— მე ვარ, ჭოვ! ჩემთან ჭიდაობას ბედავ თუ?

— გამოდი და მეჭიდავე ახლავე! — ავდეჭი და იქვე გავიწვიე საჭიდაოდ.

— დაიცალე, ჭოვ, ჯერ ტანსაცმელი გავიხადო და ტანზე იალი \*) გავისვა. ისე ვის გაუგონია ჭი- დაობა?

— იალი კი არა, თუ გინდა შენი ყველაის წევისვი, მანც მარილიერი დაგფუშენი.

აგი ვუთხარი თუ არა, სადლაც გაძვრა და ისე მოკურცხლა, რომ უკან აღარ მოუხედავს.

საწყოლს თურმე გული გაუსქდა და ისე მოკვდა, რომ სული არ ჩაყოლია საფლავში.

აცხონოს ალაპმა!

### 0. ხილები

\*) იალი — ერბო.



# ინტერიერი და მამაკა

გაბერილი, გაფუყული,  
გაფხორილი, გაბლინძული,  
შედიდური, მეტიჩრა,  
ბრაზიანი, გულმოსული;  
არ ჰეონია ქვეყანაზე  
თუ ვინმეა მისი მსგავსი,  
ცხვირზე ხორთუმი ჰქიდა  
და კისერზე მწვანე ხავსი,  
„ყურლუმ-ბურლუმ“ დაყლოყინობს,  
თვალში აღარივინ უჩანს,  
ფრთებს მიწაზე აფხავნებს,  
მძიმე მძიმეთ ზომავს ქუჩას.  
ბოლო მარაოს მიუგავს,  
თავ-კისერი კითხვიო ნიშანს,  
მას მამალი არად აგდებს,  
სამალს არც კი შეუნიშნავს,  
და ცხვირის წინ რიხიანად  
მას „ყიყლიყო“ დახალა...  
ინოური მთლად გალურჯდა.  
ბრაზიათ სახე შეეცვალა.

„შეუ. შეუ. აქ შენ, როგორ ბედავ,  
დაგილია ხახა, ბრიყვო,  
რომ ზედ ყურზე დამახალე  
ხრინჭიანი ეგ „ყიყლიყო“?

და მამალიც ინოურზე  
არა ნაჯლებ ბრაზიანი,  
საბრძოლებელად მოემზადა  
მეომარი ბრაზიანი.  
დაიქოჩინენ და ერთმანეთს  
ორი გმირი დაეტაკა,  
დაუშინეს ნისკარტები,  
ატყუდა ერთი „დაკა-დაკა“..  
მაგრამ ამ დროს თვითფრინავის  
ატყიციალდა ცაში ხმები  
და შიშისგან გულგამსკდარი  
გაქრენ სადლაც მეომრები.

ილია სიხალულიდა

## პიჩირ სტოუ

გარიეტ - ელისაბედ ბიჩერ სტოუ ამერიკელი  
მწერალი ქალია. დაიბადა 1811 წ. — გარდაიცვალა  
1896 წ. ამერიკაში ზანგები საშინელ დღეში ჰყავდათ  
მებატონებებს, რომელნიც თავის ყმებს ვინ იცის რას  
არ უშვრებოდენ: ჰყიდვენ, ცვლიდენ, აწამებდენ.  
მწერალი ქალის მამა ხშირად აძლევდა თავშესაფარს  
მებატონებისაგან გამოქცეულ ქანგებს. მთელი  
ოჯახი თანაუგრძნებოდა მათ. ზანგების თანამგრძნო-  
ბებს, მათი განთავისუფლების მომხრებს ამოლიციო-  
ნისტებს უწოდებდნენ. ამილიციონიზმი თითქმის ერთ-  
სა და იმავე წროუ ჭარმოსიშვა ეფროპასა და ამერი-  
კაში — მე-18 საუკუნის გასულს. მეცხრამეტე საუკუ-  
ნის 30 — 60-იან წლებში ამოლიციონისტები ორად  
გაიყვნენ: ერთი იმის მომხრენი იყვნენ, რომ ზანგები  
იძულებით უნდა გაეთავისუფლებით, ვინაიდნ მება-  
ტონები, მათი აზრით, ნებაყილობით არ აღე-  
ბდენ ხელს თავის ყმებზე, მეორენი კი ნებაყილო-  
ბითი რეფორმების მომხრენი იყვნენ, მათ სურდათ  
მორალური ზეგავლენა მოეხდინათ მებატონებზე.

გ. ბიჩერ სტოუმ დაწერა მთელი რიგი საბავშვო მო-  
თხოვები, მაგრამ საზოგადოების ყურადღება ვერ  
მოიპყრო. 1851 — 52 წლის მან გამოაქვეყნა თავისი  
საუკეთესო ნაწარმოები — „ბიძია თომას ქოხი“,  
რომლის საუკეთესო შემფასებელი იყვნენ მწერლის  
10 — 12 წლის ბავშვები. ეს ნაწარმოები გულის  
სილრმეში სწვდება მეითხველს, მასში ისახულია ამე-  
რიკის სამხრეთის შტატების მონათმფლობელთა  
სისასტიკე, ულმობლობა, მონებისადმი აუტანელი  
მოყრიბა, ცოცხალი საქონლით ვაჭრობა, აღწე-  
რილია დედების სასოწარკვეთილება, რომელსაც  
საშუალოდ ართმევენ ზეილებს, ნაამბობია მამებისა,  
ქმრების უნიუგეშო მდგომარეობა.

ამ ნაწარმოებს ნათლად ემჩნევა. ქრისტიანული

მორალის გავლენა. ზანგი თომა უდრტეგიხელად,  
მორჩილად იტანს ყოველგვარ დამცირებას, იტანს  
იმასაც კა, რომ იგი გაყიდეს, მოაშორეს საყვარელ  
ცოლზეილს, მიჟყავთ სადღაც, ოლბათ საუკუნოდ,  
რომ ვეღარასოდეს ველარ იხილოს თავისი სახლ-  
კარი. მაგრამ მაინც მორჩილია, ის ლოცულობს თავის  
მტრებისათვეის.

„ბიძია თომას ქოხი“ საშინელი გალაზერებაა  
მონბის წინააღმდეგ, მაგრამ იგი ცდილობს მონე-  
ბისა და მონათმფლობელთა შერიგებას რელიგიის  
საფუძველზე.

მწერალი კარგ სოციალურ ანალიზს იძლევა, მაგ-  
რამ აქვთ ქრისტიანული მორალიც. ავტორი ვრძნობს,  
რომ მასებმა აუცილებლად უნდა გაიმარჯვონ, მაგ-  
რამ მას სურს ეს მშეიძლოანად მოხდეს, განათლე-  
ბისა და ქრისტიანული ქადაგების მეოქეობით. ამ  
წიგნს აღფროთვისგან შეხვდა საზოგადოების ერთი  
ნაწილი, მეორენი კი ცოტმორეული იყვნენ და  
ბრაზიათ იხრჩობოდნენ.

20 ენაზე გადაითარგმნა იგი, მილიონობით დაი-  
ბეჭდა და გავრცელდა ფართო მასებში. ეს რომანი  
პიესადაც გადაკეთდა და ნიუიორქში 150-ჯერ დაი-  
დგა ზედიზედ. მეოცე საუკუნის ათიან წლებში ის  
გაეკეთდა კინოფილმად. ხალგაზრდობა გატაცებით  
კითხულობდა და კითხულობს ბიჩერ სტოუს ამ მარ-  
თლაც შესანიშნავ დაწერილ რომანს, რომლის ნაკლ-  
საც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეადგენს მონათა  
და მონათმფლობელთა გამწვავებული ბრძოლის რე-  
ლიგიურ ნიადაგზე მოსპობის სურვილი.

ეს წიგნი ქართულ ენაზე (შეწორებული გამო-  
ცემა) მიმდინარე წელს გამოსცა სახელგამის ახალ-  
გაზრდობის და საბავშო ლიტერატურის სექტორში.  
შ. თაბუკაშვილი

## ცელქი გიგლა

მზე დალლილი, დაქანცული  
ჩაესვენა ზღვის ტალღებში,  
მაგრამ გიგლა არ იღლება  
დასდევს ძალლებს ჯონით ხელში.

გიგლას დედა აივნიდან  
ყვირის მგონი მეათეჯერ:  
— გიგლა, შვილო, მოდი, გეყო,  
წიგნის კითხვის არის ჯერი.

გიგლას ახლა ახსენდება  
დასასწავლი რომ აქვს ლექსი  
და წიგნისკენ დაეჭანა  
ვით დამკვრელის არის წესი.

ბან ხომ სიტყვა მისცა სკოლას  
აღარ შერცხვეს თავის დოეში,  
და გავვეთილს დამზადებს,  
ვით შეშევნის დამკვრელს ჩვენში.

„კარგი ხართ თქვენ, მეგობრებო,  
კარგი ხართ თქვენ, მიხორ ველო,  
მაგრამ გიგლა სკოლაშიდაც  
უნდა გახდეს სასახელო.

და ამიტომ არ გეწყინოთ,  
თუ კი ახლა მიგატოვოთ...  
და ოთახში წიგნით ხელში  
მარტოდ-მარტო ორატორობს.

მისამართი მისი მიზანი  
(უოთის სახლვაო ტექნიკ. მოწაფე)

## ინტერესი გაცდებით

მთებზე გაშლილა ხალიჩა,  
ველზე — სიმინდის ბარაქა.  
კოლექტიველის თვალი ჩანს,  
აქ მზეს რომ ვაეთმაშა.  
ოდას ვარსკლავი მოუსხამს —  
ანთებულ ბროლის გვარადა —  
გიუმა მდინარემ სოფელშიც  
მზესავით შემოანათა...

ასე მიპყვება ქარიშხალს  
გული მთაში თუ ბარადა...  
ნისლი ჩერებივით დაიხა  
კლდეს კიდევ ვამტვრევთ ძალადა.  
იზრდება ჩვენი ქვეყანა  
შელრის ბედნიერ ჩანგზედა...  
ინუნერები გავხდებით,  
გავიჯირითებთ ცაზედა.

ვლადიმერ სულაბერიძე  
(კუთაისის ინდუსტრ. ტექნ. მიწაფე)



ლლება რეინა, ქშინავს ქურა  
და ნახშირი ყრია იქვე.  
იღებენ და ჰედენ რეინას  
ხან პირალმა, ხან კი პირქვე.

ნაპერწკლები ცვივა რეინის,  
როგორც ბალში შალრევანი,  
დაჩხილი რეინებისგან  
გამართულა ხეივანი.

ცემენ ჩაქუჩის მწყობრად... ერთად...  
იჭედება ურჩი რეინა,  
დაქა, დუკი, დაგა, დუკი,  
საბერველმაც დაიქმინა.

იჭედება მანქანები,  
კაცის ხელი არ იღლება,  
იღებენ და ჰედენ რეინას,  
ზოგიც ქურაშივე ლლება.

ი. ჩეიდიშვილი  
(ბათომის ლენინის სახელობის სკოლის მოწაფე)

# ჯონათან სციფრი და მისი „გულივერის მოგზაურობა“

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენი წიგნის ბაზარზე გამოჩნდა სკიფტის: „გულივერის მოგზაურობა“.

სკიფტის „გულივერის მოგზაურობა“ შესანიშნავი და უკვდავი წიგნია ეს წიგნი უსაყვარლესი წიგნია, როგორც „დონ-ქიხოტი“ და „რობინზონ-ქრუზი“, არა მარტო ჩვენი მოზარდი და პატარა მკითხველებისათვის, არამედ თითქმის ყველა ქვეყნის პატარა მკითხველებისათვისაც.

„გულივერის მოგზაურობისადმი“ ასეთ მიმშიღველობას იწვევს მისი მდიდარი ფანტაზია და დიდი ოსტატობით მოფიქრებული შინაარსი.

ბავშვებს სწორედ ეს ძლიერი ფანტაზია მოსწონთ, რომელიც სკიფტი ისეთ სახეებში აქვს, როგორც სრულიად ნამდვილი ამბავი.

„გულივერის მოგზაურობა“ პირველად გამოიცა 1726 წელს, ე. ი. 209 წლის წინათ და დღიდან მისი გამოსხელისა, დღემდისაც იწვევს დიდ ინტერესს.

„გულივერის მოგზაურობა“ ისეთ დროს დაიწერა, როცა ბურუჟაზიას ზურგი გამაგრებული ჰქონდა და ფეოდალურ არისტოკრატის კულტურულ და ეკონომიკურ ფრონტზე ებრძოდა.

17 საუკუნ. მეორე ნახევარი, კერძოდ 1740 წ. ინგლისისათვის მოუსევნარი იყო — მძინვარებდა სამოქალაქო მისი მეფესა და პარლამენტ<sup>1)</sup> შორის, ძველ ფეოდალებსა და ახალ ბურუჟაზიას შორის.

ამ საერთო არეულობამ გამოიწვია საშინელი შიმშილი. უმოსავლობამ უფრო გაართულა უტელურება, საერთოდ ალექ-მიცემობაც შემცირდა. სახელმწიფოს ასეთი მძიმე მდგომარეობა კისერზე დააწვა გლეხს, გლეხებს შორის დაიბადა უქამდაფილება და ლალის გადახდაზე უარი განაცხადეს.

აი, ასეთ მძიმე დროს დაიწერა „გულივერის მოგზაურობა“.

„გულივერის მოგზაურობა“ არის პოლიტიკური დაცინვა ინგლისის მაშინდელ წყობილებაზე და თუ დღესაც ეს წიგნი ჩვენთვის საინტერესოა, სწორედ იმიტომ, რომ ავტორმა მაშინდელი არსებული მოვლენები შეახამა საუკუნეთა მოვლენებს და პიროვნული საკითხები აიყვანა საკაცობრიო საკითხებამდის. ყველაფერი ეს გამოხატა არა მშრალი ქადაგებით, არამედ მხარეცული სახეებით.

„გულივერის მოგზაურობის“ ავტორმა გამოამულავნა ბურუჟაზიული ინგლისი თავისი პირადული, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ნაკლიოდ და ძლიერ გაკიცხა მისი უარყოფითი მხარეები. ავტორი თან გთომდა ხუმრობით ამბობდა: მე ეს დავწერე მათ გამოსასწორებლად და არა წასახალისებლადო.

ავტორმა თავისი მოთხოვობა ზღაპრულ ფორმაში მოაქცია. მან მაშინდელ ინგლისის მკითხველებს დაავიწყა თავისი თავი და როგორც გარეშე მაყურებელი, ისე უყურებს თავისი ქვეყნის ბურუჟაზის დაბახასიათებელ ნაკლს, მის უგუნურებას, სულმდაბლობას, დაბნეულობას.

„გულივერის მოგზაურობა“ მკითხველს ხიბლაც თავისი შინაარსის მიმდევრობითი განვითარებით და, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ზოგიერთი ამბავი მეტისმეტად გაზიადებული იყოს, დაკვირვებული მკითხველი მაინც მიხვდება ამ წიგნის აზრსა და დანიშნულებას.

რა არის „გულივერის მოგზაურობის“ ღირსება? მდიდარი მხატვრული სახეები, იმ ეპოქის კოლორიტი<sup>2)</sup>, გარემოს კონკრეტული მოცემა, ეპიზოდების ბუნებრივობა, ენის სისაღავე და მხატვრულობა.

მაგრამ განა მარტო ეს არის? სკიფტმა ჩვეულებრივ აღმიანთა თვისებები მიაწერა გოლიათებს, ლილიპუტებს და ამით მკითხველში იწვევს ზიღლს, სიძულვილს იმისას, რასაც ჩვეულებრივად ცხოვრებაში გულგრილად უყურებს ბურუჟაზია.

209 წლის წინათ „გულივერის მოგზაურობის“ გამოსვლა დიდი მოვლენა იყო ინგლისისათვის, წიგნი სწრაფად გავრცელდა, პირველ წელსვე რამდენჯერმე გამოიცა და გავრცელდა რამდენიმე ასიათასი ცალი.

სკიფტი კი თითქოს დამცნავი ღიმილით ამბობდა: მუავარი ჩემი მიზანი, რომელსაც ვიცავ ჩემს ნაწერებში, ეს არის აღამიანთა წამება, ვიდრე მათი გართობა.

ამიტომაც ნიჭიერად დასცინოდა აღამიანთა ნაკლს, მათ უარყოფითი მხარეებს, რადგენ უნდოდა მათი სიმახინჯის გამოსწორება.

„გულივერის მოგზაურობის“ ფორმა მეტად ცოცხალი და სადაა. ასე გვინიათ თქვენც გულივერთან ერთად მოგზაურობთ და თქვენი თვალითა ხედავთ შორეულ და უცნობ ქვეყნებს თავისი საკვირველი მობინადრებით და ზნე-ჩვეულებით.

აი, ეს არის მიზეზი, რომ სკიფტმა უკვდავი სახელი მოიხვეჭა მხოლოდ „გულივერის მოგზაურობით“, რომელიც თითქმის ყველა ენაზეა გადათარგმნილი და მის სხვა ნაწერებს არც ეჭცევა სათანადო ყურადღება.

ვინ იყო ჯონათან სკიფტი?

ჯონათან სკიფტი დაიბადა 1667 წელს 30 ნოემბერს, ირლანდიაში, ლუბლინში. შშობლები ჰყავდა. სკიფტს მამა 7 თვის მკვდარი ჰყავდა, როდესაც თვითონ დაიბადა, ჯონათანი ძიძა ჩუმად გააპარა სახლითან და დედას დაუბრუნა მხოლოდ სამი წლის

<sup>1)</sup> პარლამენტი—სახელმწიფო საკანონმდებლო წარმომადგენლიბითი დაწესებულება ბურუჟაზიულ-დემოკრატიული კონსტიტუციის მქონე ქვეყანაში, — მისი წევრების აჩენები მონაწილეობენ მხოლოდ არჩევნების უფლების მქონე მოქალაქეები.

<sup>2)</sup> კოლორიტი—საერთოდ ხასიათი მხატვრული ნაწარმოებისა, ადგილისა.

შემდეგ. სვიფტის სწავლა-აღზრდაზე იზრუნა მისმა ბიძამ. მიაბარა ჯერ კილკენის სკოლაში, შემდეგ კი, როცა 14 წლისა იყო, დუმლინის უნივერსიტეტში. უნივერსტეტში სვიფტი კარგად არა სწავლობდა. მან იქ დაყო 7 წელი და ატესტატი „მოწყალებით“ მიიღო, როგორც მოწმობაზე ჰქონდა აღნიშნული. ასე ამბობენ მისი ბიოგრაფიის დამწერნი.

სვიფტის დედა ინგლისში გადმოსახლდა და თავისი გაუიშვილი მოაშეც ცნობილი დიპლომატი<sup>1)</sup> ლორდ ვილიამ ტემპლის ოჯახში, რომელსაც ცოტას ენათესავებოდა. ტემპლი გამოჩენილი სახელმწიფო კაცი, დიდი განათლებული იყო. მას სვიფტს კარგი არაფერი გაეცო. პირიქით, ხელთ ის ცნობები ჰქონდა, რომ სვიფტი უნივერსიტეტში ზარამაცობდა და არავითარ სურვილს არ იჩენდა მეცნიერების შესასწავლად. მართალია, ტემპლმა სვიფტი მიიღო თავისი სამსახურში, მაგრამ პირველ ხანებში ვერც იახლოებდა და ცოტა ქედმაღლურადაც უყურებდა მას. ასეთი დამოკიდებულება მეტად მოქმედობდა სვიფტის თავმოყვარეობაზე, მაგრამ მაინც ტემპლის ცდა იყო, რომ სვიფტი შემდგომ სამსახურში დაწინაურდა. ტემპლის ოჯახში სვიფტმა ბევრი წარჩინებული პირი და გამოჩენილი მოღვაწე გაიცნო, თვით მეფე ვილტელმ მესამეც. ამ საზოგადოებამ დიდი გავლენა მოახდინა მასზე, სვიფტი გულმოცვინელ ჩაუჯდა წიგნებს და მალე სამეცნიერო ხარისხიც მიიღო ოქსფორდში.

მიუხედავად ამისა, მისი სამსახურში წარჩინება ნელი გზით მიდიოდა და ამიტომ უნდოდა ტემპლთან სამსახური მიეტოვებია. ასეც მოიქცა. ის წავიდა ირლანდიაში 1694 წელს და მიიღო ჯერ დიაკნობა, შემდეგ მღვდლობა, რომელსაც თავდებობა უნდოდა და ტემპლიც სიამოცნებით დაუდგა.

ვილიამ ტემპლმა ბოლოს უკვე შეატყო სვიფტს ნიჭიც, უნარიც და სთხოვდა დაბრუნებას. სვიფტიც დაუბრუნდა ტემპლის ოჯახს, სადაც მისი სიკვდილამდის დარჩა, ე. ი. 1699 წლამდის. ტემპლმა ცოტაოდენი თანხა და ანდერძი დაუტვია სვიფტს, იმის შესახებ, რომ ამ დიპლომატის ნაწერები უნდა გამოცა მას.

ტემპლის სიკვდილმდის სვიფტს ინგლისის მეფე დაპირიდა მრევლს (სადაც მღვდლიად უნდა წასულიყო), თუკი აღგიღო გამოჩნდებოდა. სვიფტმა ტემპლის ანდერძის შესრულება დააჩქარა, გამოსცა მისი ნაწერები და მიუძღვნა მეფეს იმ იმედით, რომ ის დაპირებულს შეასრულებდა. მაგრამ ეს იმედი გაუცრუვდა. მეფემ დაპირება არ შესასრულა და სვიფტიც იძულებული გახდა ისევ ირლანდიაში მიეღო მრევლი და 10 წელი ეს სახური გულმოცვინედ ასრულებდა საექლესით წესებს და საკმაო დროცა ჩერჩოდა ლიტერატურული უშვილისთვის.

<sup>1)</sup> დაპირი — სახელმწიფოს რწმუნებული უცხო სახელმწიფოსთან ურთიერთობისათვის.

1701 წელს გამოვიდა სვიფტის პირველი წიგნი — პოლიტიკური პატლეტი<sup>2)</sup>. ათინასა და ომში პარტიათა განხეთქილების. შესახებ. მხოლოდ ამ წიგნს მოაწერა სვიფტმა თავისი სახელი. 1704 წელს გამოსცა თავისი (კომისიუნივერსიტეტში) „ზღაპარი ბოჭაბზე“ და „წიგნთა ბრძოლა“, რომელსაც თავისი გაარია არ მოაწერა. 1709 წელს როცა ინგლისში დაბრუნდა, მას უკვე პოლიტიკური სატირიკოსის დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, ის დიდის ალტაცებით მიიღო ვიგბის ა) სამინისტრომ, მას პირში ელაქუცებოდნ, უკველა დახმარებას სთხოვდა, სვიფტიც სიანოვნებით ასრულებდა. სვიფტის ბასრი გამოთქმები მთელი ინგლისის საზოგადოებას აღელვებდა, და სწორედ სვიფტის შეალობით დეირქვა ანას მეფობის ხანას „ინგლისის ლიტერატურის აღორძინების ხანა“.

მაგრამ არსებითად არც საზოგადოება და არც ვიგების სამინისტრო არაფრით არ დახმარებია სვიფტს. პირიქით, სვიფტის ხელიდან მალე გამოეცა და თავისი მდგრადობა, როცა მას ეფარისევლებოდენ და ყველა მას მიმართავდა დახმარებისათვის.

1720 წელს სვიფტი გამოდის ხალხთა ინტერესებისათვის მებრძოლის როლში და ისეთ სახელს მიაღწია, რომ თვით ძალაუფლების მპყრობელიც ვერ მიაღწევდა.

საქმე ისაა, რომ ირლანდია უკველაზე დაბეჩავებულ მხარედ ითვლებოდა ევროპაში. სამოქალაქო ბრძოლის გამო ირლანდიამ დამოუკიდებლობა მთლად დაპქარგა. გარდა ამისა, ინგლისიც ყოველ ლონეს ხმარობდა, რომ ირლანდიის მრეწველობა შეევიწროებია. მაგალითად, ირლანდიის მრეწველობა, რომელიც მაღალ საფუძველზე იღვა, ინგლისმა დაბლა დასცა.

სვიფტი სწორედ ირლანდიის ინტერესების დამცველად გამოვიდა. მან გამოუშვა მეტად მისწრებული და გონიერი ნაწერები, სადაც ყველა ირლანდიელს მოუწოდებდა ხელი ინგლისის მანუფაქტურაზე და ტანისამოსი ეხმარათ განსაკუთრებით ადგილობრივი წარმოებისა. ამ ნაწერის გამო სასამართლო პროცესიც მოეწყო, რომელიც, მართალია, დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ უშედეგოდ, სვიფტს კი სწორედ ამან მოუპოვა დიდი სახელა. ის გახდა ირლანდიის საერთო საყვარელი და ყველა წილებაში, მაღალსა და დაბალში, დიდი თავანისმცემლები ჰყავდა. ირლანდიელებს თავიანთ მხსნელიდ ის მიაჩინათ და ისე ემორჩილებოდენ, როგორც დიქტატორს. მართალია, სვიფტი ეწინააღმდეგებოდა ყველგვარ უსამართლოებას, მაგრამ მისი უბედულება ის იყო, რომ ის ერთი იყო ამ პრძოლაში

<sup>2)</sup> პატლეტი — რითომე ცნობილი პიროვნების წინააღმდეგ მიმართული, ან საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების საჭიროები და კვახე ტრინით დაწერილი მოკლე თხზულებანი.

<sup>3)</sup> ვიგბი — ინგლისის პოლიტიკური პარტია (17 საუკ.) ეყრდნობოდა გაბურუუბებულ არისტოკრატიას და გაჭრებს.

და არც იცოდა როგორ უნდა დაემყარებია ახალი, დადგინთი წესწყობილება, რომელიც ძველის ნანგრევებზე უნდა იქმნებია. სვიფტი კარგად გრძნობდა, რომ არც ვიკების მინისტერები და არც მეფე ხალხის ინტერესებს არ იცავდნენ. სვიფტი ახლოს გაეცნო ირლანდის მცხოვრებთა გაჭირვებას, სიღარიბეს, დაინახა მათი საშინელი ექსპლოატაცია და ამიტომ გამძაფრა თავისი პამფლეთები და აშკარად იცავდა დაბეჭავებულ ხალხს. მაგრამ ის პოლოტიქურ მიღვაწეობას ეწეობა არა ინგლისის სატახტო ქალაქ ლონდონში, არამედ ირლანდის პატარა ქალაქ დუბლინში, სადაც დაიბადა და რომლის მღვდელიც იყო.

1721 წელს ინგლისში სწერდა თავის მეგობარს: აქ ისე ვცხოვრობ, რომ სრულიად არ ვიცი რა ხდება ქვეყანაზეო. „გულივერის მოგზაურობის“ მოფიქრება და მისი დაწერის სამზადისიც 1721 წლიდან იწყება.

1726 წლის დასაწყისში ერთხელ კიდევ ჩამოვიდა ლონდონში (12 წლის წასული იყო) და უნდოდა ენახა და მოლაპარაკებოდა ვიგის კაბინეტის პირველ მინისტრს რობერტ ულოპოლს, რომ აეხსნა ირლანდიის ნამდვილი მდგომარეობა, მაგრამ, როგორც სვიფტის წერილიდან ჩანს, სერით ენა ვერ გამოძებნა მასთან და შეხვედრამ უშედეგოთ ჩაიარა. აგრეთვე ინახულა მეფეც, მას იმედს აძლევდნე ეფისკოფოსობას მიიღებ ინგლისში, მაგრამ ქსეც არ გამართლდა.

დასაცდელი აღმართერი პქნდა ლონდონში და ისევ ირლანდიაში დაბრუნდა.

სწორედ ამ დაბრუნებისას გააძლიერა „გულივერის მოგზაურობაზე“ მუშაობა.

როგორც ძეირფას განძს, ისე მოუყარა თავი სვიფტმა ამ წიგნში მთელ ღველფს, მთელ დამსხვრეულ იმედებს და განუხორციელებელ განზრავებს...

და 1626 წლის 3 ნოემბერს გამოვიდა „გულივერის მოგზაურობაც“.

როგორც ვთქვით, მისმა „გულივერის მოგზაურობამ“ გამოიწვია დიდი ხმაური, გამოიწვია ჯანსალი სიცილი და ავტორსაც უკვდავი სახელი მოუპოვა, თუმცა თავის სახელს დიდხანს მალავდა, დადი საიდუმლოებითაც ინახავდა, ასე რომ ამხანაგებსაცი ეჭვი ეპარებოდათ მის ავტორობაში.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები სვიფტმა მეტად უფერულად გაატარა. ჯანმრთელობით ყოველთვის სუსტი იყო. კუჭის ტკივილი და თავბრუ აწუხებდა. ამ ხანში თითქმის გამოსულელდა და სიკვდილი თითქოს შვება იყო მისთვის. გარდაიცვალა 10 ოქტომბერს 1745 წელს, 78 წლის მოხუცი.

როგორც დავინიაზეთ „გულივერის მოგზაურობა“ სვიფტს არ დაუწერია ბავშვებისათვის, მაგრამ წიგნი ბევრნაირად შემოკლდა და გადამუშავდა ბევრებისათვის, რადგანაც „გულივერის მოგზაურობა“ მათთვის მეტად სასარგებლოა.

ეს წიგნი შედგება ოთხი ნაწილისაგან: გულივერი ლილპუტებთან (8 თავი) გოლიათებთან-ბრობლინიკებთან (8 თავი), ლაბუტაში, ლოლიავში, გრუბლობრიდში (11 თავი) და გულივერი გიუგნმებში (ცხენების ქვეყანა).

რუსულად ძველ გამოცემაში დამუშავებული იყო საშუალო ასაკისათვის მხოლოდ ორი ნაწილი: გულივერი ლილპუტებსა და გოლიათებში. სწორედ ამ შემოკლებულილან თარგმნა ქართულად ილია ცისკარაშვილმა.

რუსეთში, 1929 წელს, ლეონტიევმა ხელახლად გადამუშავა და მიუმატა მესამე ნაწილიც—გულივერი ლილპუტებთან.

რაც შეეხება უკანასკნელ ნაწილს, ე. ი. გულივერის მოგზაურობს ცხენების ქვეყანაში, ის ბავშვებისათვის გადამუშავებულ „გულივერის მოგზაურობაში“ არ შედის თავისი სირთულის გამო.

მართალია, სწორედ ამ ნაწილშია მწარე ირონია, დაცინვა და ინგლისის ნაკლის გაშიშვლება ისე, რომ ცხენებიც კი, რომელიც იმ ქვეყანაში გასაოცარი გრძნობით და გონებით არიან დაჯაილდოვებულნი და რომელთაც არ იციან სიცრუე და ბოროტება, ესენიც კი აღმფოთებული არიან აღმიანების ვერაცვბით, მაგრამ ბავშვებისათვის რთული და ძნელი დასაძლევია.

ქართულად „გულივერის მოგზაურობა“ პირველად დაიბეჭდა 1887 წ. ცორედ 1900 წელს და მესამედ 1929 წელს „ქართულმა წიგნმა“. იმდენად სწრაფად გავრცელდა, რომ ჩვენ ნაგიანევადაც მოგვიხდა მისი ახლად გამოცემა.

თუ ძველი გამოცემები შეიცავდა ორ ნაწილს, ამ ახალ გამოცემაში ერთი დიდი ნაწილიც დაემატა, რომელიც ორ ნაწილად არის გაყოფილი. გარდა ამისა, პირველ ორ ნაწილსაც ბევრი ადგილი აქვს დამატებული, რაც ძველი გამომცემლების მიერ გამოტოვებული იყო. ამგვარად ეს ახალი გამოცემაც, როგორც მიღებულია ბავშვებისათვის, შემოკლებულია, ამოღებულია მძიმე და ზედმეტი აღგილები, მაგრამ მთლიანი წარმოდგენა მაინც ექნებათ ჩვენს მკითხველებს ამ შესანიშნავ წიგნზე.

ან. ლვინიაზვილი

ლეიტ

პირნარ-ორგანიზაციების ამოცანები საჭარი თავდაცვის საქამი

წარსულ დღოთა ომებიდან ვიცით, რომ ბავ-  
შვებას ბევრი გმირობა გამოუჩენიათ მტრებთან ამზი.  
პარიზის დილი კომუნის დროს მუშათა ბავშვები  
მშობლებთან ერთად იბრძოდენ. პარიზის ბარიკატე-  
ბზე ბევრი ბავშვი დაიღუპა. იქ, სადაც დიდი გავლა  
არ ჟერმა, ბავშვები შეუმჩნევლად გაძერებოდნენ  
და მოჰკონდათ ცნობები მტრის შესახებ. საბჭოთა  
კავშირისა და იმპერიალისტების მომავალ ომში ბავ-  
შვებიც მიიღებნ მონაწილეობას მტრის მოგერიება-  
ში. ავიაციის და ქიმიის მრეწველობის განვითარება  
მომავალ ომში გამოიწვევს ბრძოლის განსაკუთრებულ  
სახეს, რომელიც 1914-18 წ.წ. ომშიაც იყო გამოყე-  
ნებული მაწილობრივ. ეს არის საპატიო ბრძოლა.  
საპატიო ბრძოლამ წაშალა საზღვარი ფრონტსა და  
ზურგს შორის და ის ამით არის საყურადღიანო.

მიიღებენ თუ არა ბავშვები მონაწილეობას მო-  
მავალ ომში? უეჭველად მიიღებენ. ავიაციის საშუა-  
ლებით მტერი შეეცდება შემოფრინდეს ზურგში და  
შეეცალოს ყუმბარებით დაანგრიოს ქვეყნის სასიცო-  
ცხლო ცენტრები. ჩვენა ამოცანა იქნება საპარო  
თავდაცვისათვის ისე მოვემზადოთ, რომ მტრის იე-  
რიში უშედეგოთ დარჩეს. ამისათვის საჭიროა კარ-  
გად ვიცოდეთ საპარო თავდაცვის წესები. მაშასა-  
დამე, ამთავდიდანვე უნდა შეეულეოთ საქმეს ჩვენი  
ფამილია-ქარხნების, სკოლების, ბინების დასაცავად.  
საამისო დადგენილებები სათანადო ორგანოების მი-  
ერ რახანია გამოცემულია, მაგრამ, სამწუხაროდ,  
ჩვენს სკოლებში ჯერ არა გაკეთებულა რა.

ამ შემთხვევაში პიონერ-ორგანიზაციას შეუძლია  
ბევრი რამ გააკეთოს. პიონერორგანიზაციამ უნდა  
ითავოს სკოლაში საპატიო თავდაცვის შესწავლის  
საქმის მოგარება და ჩვენ ყოველმხრივ დავხმა-  
რებით პიონერებს. მაგალითად, გამოვგზავნით ლე-  
ქტორებს საპატიო თავდაცვის წრეებისთვის, მოვ-  
წყობთ ესკურსიებს პრაქტიკული თავდაცვის მოსა-  
წყობას, დაღვინიშნავთ ხელმძღვანელებს და სხვ.

ქონკრეტულად, აი რა უნდა გააკეთონ პიმ-  
ნერობრგანიზაციებშია:

1 მოელაპარაკონ თავიანთი სკოლის დირექტორი რებს გააბან სათანადო კავშირი საპატიო თავდაცვის სარაიონო შტაბთან.

2) სკოლაში უნდა დაარსდეს ავიაქიმის პირველადი უჯრედები.

3) ყველა ბავშვი უნდა იღებდეს მონაწილეობას  
საჰაერო თავდაცვაში.

4) მტკიცე დისკიპლინა სუთევდეს საჰაერო თაგ-  
დაცვის სწავლებაში.

5) შეძენილ იქნას აირნილბები.

6) აირწინალი ზედმიწევნით კარგად უნდა იქნას შესწავლილი, რომ ბავშვება იგი პრაქტიკულად გა- მოიყინოს.

7) Թովքայլ օյնաս կյուղացի Տէպուալյանը օներում է բարեհաջարու սամայականութ.

8) მოეწყოს თავდაცვის ვარჯიშობანი ექსკურ-  
სიების სახით. ბავშვები ამას ძალიან ეტანებიან და  
ეს სახალისო ამბავია.


9) კედლის განეთებში უნდა შუქდებოდეს საპატ-  
რო თავდაცვის ჯაფუფების მუშაობა, აგრეთვე იმათი  
მხილება, ვინც ხელს უშლის საპატრო-თავდაცვის  
დიდ საწმის.

აი, როცა ეს საკითხები მოგვარებული იქნება, ჩენ შეგვიძლია ვთქვაო, რომ გადაუჩებით მტრის პაროპლანების თავდასხმას და ვიზუალურ ჩემნს სკოლას, ჩენს პატარა და-ძმებს და საქუთარ თავსაც შეაძინო ვაწებისაგან.

მაში, პიონერებო, ხალისით მოგვიდოთ ზელი ამ  
საჭირო საქმეს! ითავეთ საჰაერო თავდაცვის ჯგუ-  
ფების დაარსება სკოლებში: სხვაში ჩენ დაგეხმარე-  
ბით.

১. ৪৯০৩১৬


(ორჯუონიკიძის რაიონის საპატიო თავდაცვის თავმჯდომარის  
მოადგილე).



# გასართობი

ვერ მოახდენა

ერთხელ დედამ ნამცხვარი გააკეთა, შუაგულში  
ვაშლის ბაქმაზი იყო (დააკვირდით სურათს!)



რვა თანასწორ ნაწილად უნდა გაეჭრა. აიღო  
ღანა, მაგრამ შეჩერდა და უთხრა ნუკიფის.

— აბა, შვილო, შენ გატერი რვა თანაბარ ნაწილად, მაგრამ მხოლოდ სამჯერ უნდა დაუსვა  
დანა.

დგას ნუკიფო, ფიქრობა...

ვერა, ვერ მოახერხა!

დედამ მართლაც სამჯერ დაუსვა ღანა და რვა  
თანაბარ ნაწილად გაჭრა.

როგორ მოახერხა მან ეს?

რა შაგარი ჟოზილა პავაზის ღირო!



## ✓ როგორ მიმზადა ბოთლი თევზის უზრუნველყოდა

აიღოთ ცარიელი ბოთლი და თავდალმა გააჩერეთ  
მდუღარესთან, რომელსაც ორთქლი ასდის.

როდესაც ბოთლი ორთქლით აიგსება, უცებ ჩა-  
დგით ცივ წყალში, თავზე წაუსვით ცოტაოდენი  
ვაზალინი ან ერბო და თეფში დაახურეთ (დახედეთ)  
სურათს)



იცით, რა მოხდება?

შეგიძლიერ მოჰკიდოთ ხელი თეფში და ასწიოთ.  
ბოთლიც მასშიაჭყვება, ბოთლი მას მიეწება.

აიღოთ ჭვავის ღერო, გაღალუნეთ ისე, როგორც  
სურათზეა ნაჩვენები და ჩაუშვით ცარიელ გრაფინში  
ისე, რომ გადაღუნული ნაწილის ბოლო გრაფინის  
გვერდს ებჯინებოდეს. შემდეგ მოჰკიდეთ ხელი ჭვა-  
ვის ღეროს და სინჯე: ასწერს თუ არა იგი გრაფინს.

## ✓ ხომალი მიკროსობი

თეფშე ძეგს ერთი მარცვალი ხორბალი. კარგი  
ხორბალია, გარეგნული არაფერი ეტყობა, მის გულ-  
ში კი ზის მატლი, რომელიც ლრღნის ხორბლის  
გულს.

ამასწინათ ამერიკაში გამოიგონეს ისეთი აპარატი,  
რომელიც საშინლად აღიღებს ყოველგვარ ხმაუ-  
რობას.

ნიუ-იორქის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში  
ფრიმ მიიტანა პატარა მოწყობილობა და თეფში,  
რომელზეც ეყარა ავადმყოფი ხორბალი. უცებ გაისმა  
ლაბორატორიაში ხრეიალი, ლაწა-ლუწი... ისეთი ხმა-  
ურობა ატყდა, რომ შეზობელ ოთახში მუშაობა შე-  
უძლებელი იყო.

იცით, ვინ ხმაურობდა?

მატლები ლრღნიდენ ხორბლის გულს. ამ აპარა-  
ტმა კი იმდენად გაადიდა მათი ხმაურობა, რომ  
ხალხს მუშაობა შეაწყვეტინა. გამომგონებლებმა „ხმო-  
ვანი მიეროსკოპი“ დაარქეს ამ აპარატს.

ამ აპარატის ერთერთი გამომგონებელი ფრი ამ-  
ბობს: ამ აპარატით რომ გავადიდოთ ნიუ-იორქში  
კატის კრუტუნი, ამ „კრუტუნს“ გაიგონებენ სან-ფრან-  
ცისქოშით (ამერიკის ერთ თავში რომ ნიუ-იორქია, სან-ფრანცისკო მეორე თავშია), ხოლო ნიუ-იორქის  
ქარის ხმაურობა რომ ამდენჯერმე გავადიდოთ, პა-  
ერის საშინელი შერყევა დაანგრევს ირგვლივ მდე-  
ბარე სახლებს და იმ ლაბორატორიებსაც, სადაც  
აპარატი დგასო.

ვ. თაბაშირიშვილი.

# ინდოეთის პაჟალი და თაგვი

(08280)



ერთი კაცი ინდოეთის ქვეყანაში მოგზაურობდა. ერთხელ იქაური კაქლები ნახა. ვაჟკაცის მუჭის ოდენა იყო. მოეწონა და რამდენიმე ცალი თან წამოიღო. გზაში მოშივდა, კაქლები დაამტვრია და შეჭამა. ერთადერთი გადარჩენოდა ხურჯინში. შინ რომ მივიდა, ხურჯინი ამოალაგა. ის ერთი კაკალიც ამოიღო. ცოლშვილმა გაიკირევა იმოდენა კაკალი. აიღეს და საგანგებოთ შეინახეს ბელელში. ბელელში თურმე თაგვები ძერებოდენ; მიაგნო ერთმა წრუშუნამ ეს კაკალი და დიდად განიხარა: ამოდენა საკუუნი დიდხანს მეყოფაო. მიადგა და დაუწყო ხვრა. შებინდებიდან დაიწყო და შუალამისას უძვე გამოხტრა ნაკუჭი და ლებანს შეახო ქმილი. მისდგა და სადამისაც მისწვდებოდა, — გამოჭამა. რომ გამოძლა, მოშორდა კაკალს და თავის სოროსაკენ წავიდა, დაიძინა. დილაზე გამოელებიდა. ჭამა მოუნდა. მიუნცულდა კაკალთან და ჭამა დაუწყო. იმდენი გამოსჭამა, რომ შუამდის შეძერა კაქლის სილრმეში; გამაძლარი გამობრუნდა და ისევ თავის საბუღარში მოისვენა.



შემდეგ კელავ შიადგა კაკალს. შეძერა შიგ და განაგრძო ჭამა. შეატყო, რომ ამოდენა კაკალი ჯერ არსად შეხვედრია და რომ ჯერ კიდევ ბევრია კაქლის გულის მარავი. სიხარბისაგან ვეღარ დაომო ამოდენა საჭმელი. გუნებაში თქვა: რად უნდა მივა-

ტოვო თუნდაც მცირე ხნით ამოდენა დოფლათი... ხომ შეიძლება მიაგნოს ეინმე ოხერმა, შემოძრეს შიგ და მერმე აღარც კი დამანებოს... შიგვე მოვისვენებ... უკეთეს ბინას ვინ იშოვის... ნუ გვშინია, კატა ვერ შემოძრეს შიგო.

დაიღალა ჭამით და შიგვე ნაჭუჭში მოისვენა. მიდო თავი და მიიძინა. როცა გამოელვიძა, ჭამა განაგრძო... მეხუთე დღეს შეხედა — ერთი დღის საზალი-ღალი-ღალარების წყლის დასალვავაღ გარეთ გამოსვლა განისრახა. მივიდა ხვრელთან, მაგრამ თქვენც არ მოიგებელთ: ისე გამძლარიყო, ისე გაპბეროდა მუცული, რომ ნახვრეტში ვეღარ გამოეტია. გულშელონებულმა წრუშუნამ ბევრი იწრიალა, მაგრამ ვერა და ვერა — გარეთ ვეღარ გამოეტია. სხვა გზა ალარ იყო — მიწვა და მოისვენა.

რომ წამოდგა, ჭამა განაგრძო. ერთხელ კიდევ სკადა გარეთ გამობრძანება, მაგრამ ცდა ამაო დარჩა... მიბრუნდა და ნარჩომი მარავიც გაათავა.

ახლა ისე გაბერილყო, რომ ნაჭუჭში თავისუფლად მობრუნებაც ვეღარ შეიძლო.

თავუნას უცბად მოაგონდა თავისი საბუღარი, სწორები, თავისუფლად ცუნცული, სადაც კი მოენებებოდა. ახლა კი ცახეში მოემწყვდა და გარეთ ვეღარ გამოდის... კვლავ გული შეულონდა და უგრძნობლად შეიქნა. რამდენიმე ხნის შემდეგ თვალები გაახილა, მაგრამ საშინელება ოდნავაღაც არ შეცელილყო: თავუნა გამოუვალ ცახეში გრძნობდა თავს.

ერთი კვირის შემდეგ პატრონი ბელელში შევიდა. კაკალს თვალი შეავლო. ნახა — თავის გამოურავს. ხელში აიღო, დააკირდა. შიგ თავი წრიპინებს. გარეთ გამოიტანა. იქვე ეზოში ვეღარ კატა იწვა. — „ციფ, ციფ“! — დაიძახა კაცმა.

კატა იმ წამსვე პატრონთან გაჩნდა.

კაცმა აიღო და კაკალი ძირს დაახეთქა.

გარეთქმილი ნაჭუჭიდან თავისი გამოვარდა. ეცა კატა, იგდო კბილებში და კუდის პრესით ეზოს თავისუფალი კუნჭულისაკენ გააქანა.

გ. ლომთათიძე

## ამოცანა ასოებზე

შოთაქერებულიდა ათი სიტყვა, რომელთა ერთნა-  
რი ასოები აღნიშნულია ერთნაირი ციფრებით.  
სიტყვების მნიშვნელობა მოცემულია გვერდით. მოვ-  
ნახოთ ეს სიტყვები და მიღებული სიტყვების პირ-  
ველი ასოები წავიკითხოთ ზევიდან ქვევით რა გა-  
შოდის?

1. 2. 3. — ქალაქი რაჭაში.  
4. 5. 6. 5. 7. 3. — წელზე შემოსარტყამი.

8. 5. 7. 5. 2. 3. — დამარილებული თევზის სახელი.  
1. 4. 7. 1. — ძვირფასი ლითონის სახელი.  
6. 5. 3. 9. 3. — წელიწადის თვე.  
10. 5. 7. 3. — მიწის სამუშაო იარაღი.  
7. 3. 1. 2. 3. — მდინარე საქართველოში.  
11. 12. 11. 2. 11. — ქილის სახელი.  
12. 11. 13. 14. 3. — რა ჰქვია ძალის შეილს?  
3. 5. 9. 5. 6. 5. 2. 3. — გაზაფხულის ყვავილი.

პლ. თევზაძე



**75 355.**

**5 355.**



# **„ПИОНЕР“**

**Госиздат Грузии**

**Тифлис 1935 г.**